საქართველოს მოამბე

№ 8

20 დეკემბერი. კვირეული საპოლიტიკო, სამ. ც. ⁄ სალიტ. ჟურნალი 1909 წ.

ჩვენ და ცხოვრება

მიმართულება სწავლის საქმეში.

თუ რამდენად ჩამოვრჩით ჩვენ, ქართველები, დანამედროვე მოქალაქობრივ ცხოვრებას და რამდენად დავშორდით მის მოთხოვნილებას, ამას ცხადად ამტკიცებს ჩვენი საერთო მისწრაფების ხასიათი სწავლა-განათლების საქმეში და ახალგაზდობის მიდრეკილება პრაქტიკულ ცხოვრებაში.

ჩვენი ჩამორჩენა იმაში არ გამოიხატება, რომ ვითომ დღეს ქართველობას შეგნებული არ ჰქონდეს საზოგადოდ სწავლა განათლების საჭიროება და სარგებლობა, ან ვითომ მას აკლდეს მისწრაფება სწავლა ცოდნისადმი. პირიქით, ეს შეგნება და მისწრაფება საკმაოდ დიდია, და ამ მხრით ჩვენ ზოგიერთ მეზობელ ხალხებს არ ჩამოუვარდებით. არა, ჩვენი ჩამორჩენისა და ცხოვრებისაგან გამორიყვის მაჩვენებელია ამ შემთხვევაში არა მისწრაფების ნაკლებობა ან გულგრილობა სწავლა განათლების მიმართ, არამედ ჩვენი განსაზღვრული მიმართულება ამ საქმეში და ის პრაქტიკული მოსაზრება ანუ, უფრო სიმართლით რომ ვთქვათ, მოუსაზრებლობა, რომელიც სარჩულად უდევს ჩვენს ზრუნვას ახალთაობის სწავლა-აღზრდისათვის.

ქართველობის დღევანდელ მიმართულებას სწავლა-განათლების საქმეში მხოლოდ მაშინ გავიგებთ და წარმოვიდგენთ სავსებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ „ქართულ თვისებებს“, რომელიც წინა წერილში მოვიხსენიეთ, და გავითვალისწინებთ იმ სოციალ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც თან მოჰყვა საქართველოს ისტორიულ ცხოვრების ძირითად ცვლილებას მეცხრამეტე საუკუნეში.

როგორც ყველამ იცის, საქართველოში შემოსვლისათანავე რუსეთის მთავრობამ დააწესა ჩვენში რთული ადმინისტრაცია და გაამრავლა ჩინოვნიკობა. „ტრაქტატები“ და ხელშეკრულობის „პირობები“ მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, ხოლო ნამდვილად საქართველო რუსეთის პროვინციად გამოცხადდა და მთელი ქართველი ხალხი განურჩევლად წოდებისა, შორიდან გამოგზავნილ ჩინოვნიკების ქვეშევრდომად გადაიქცა. ვისაც წ-უკითხავს იმდროინდელი ოფიციალური „აქტები“, მხოლოდ იმას შეუძლიან სავსებით წარმოიდგინოს, თუ რა იყვნენ ჩვენი ქვეყნის მ შინდელი გამგენი. და ეს ადვილი გასაგებიცაა: დღესაც, მეოცე საუკუნეში, ასე დიდი ძ ლისა და გავლენის პატრონია ადმინისტრაციის უმცირესის უმცირესი მოხელე, და აბა რაღა უნდა ყოფილიყო ასი წლის წინად, როცა ხალხს არ ჰქონდა არც გამოცდილება, არც მომზადება და არც საშუალება თვითნებობის ასალაგმავად. თუ წინად ბატონობა და ბრძანებლობა ხელთ ეპყრა თავად-აზნაურობას, მეცხრამეტე საუკუნეში ყველას მბრძანებელი შეიქნა „მდივანბეგი“, ყოველი წვრილი და სხვილი მოხელე, რომელიც, უკონტროლოდ და უპასუხისმგებლოდ, თავის სურვილსა და ნებაზე „განაგებდა“ ქვეყანას.

ის როლი და მოვალეობა, რომელიც წინად ქართველ თავად-აზნაურობას ჰქონდა, ახლა სხვაზე გადავიდა და ჩვენი მოწინავე წოდება საქმისაგან სრულიად განთავისუფლებული დარჩა. რომ მას შემდეგშიაც მოწინავეობა და ფაქტიური უპირატესობა შეერჩინა, საჭირო იყო, ან სამეურნეო ასპარეზისთვის მაგრა ხელი ჩაეჭიდნა, ან და რუსის მთავრობის მოხელეობა ეკისრნა და ადმინისტრაციაში ალაგი დაეჭირა. პირველი საქმისთვის მას არ ჰქონდა შესაფერი პსიხიკა და ცხოვრებაშიაც არ იყო მაშინ შექმნილი ნიადაგი საღებმიცემო მეურნეობის საწარმოებლად სამსახური კი, განსაკუთრებით სამხედრო სამსახური, უფრო ემარჯვებოდა თავის შესაფერადაც მიაჩნდა. ამიტომაც თავად-აზნაურობამ ეს მეორე გზა აირჩია და ჩინოვნიკის სამსახური იკისრა.

იმ დროში მთავრობას ადგილობრივი ელემენტი ძალიან ესაჭიროებოდა, რადგან კავკასია მისთვის სრულიად უცხო და უცნობი მხარე იყო და ამასთან კავკასიის სხვა და სხვა ნაწილები დასაპყრობი ჰქონდა. ამის გამო და აგრეთვე იმიტომაც, რომ ახლად შეერთებულ და ჯერ კიდევ დაუპყრო-

ბელ ქვეყანაში თავად-აზნაურობის გულის მოგება და თავის მომხრედ გადაქცევა მისთვ-ს სასარგებლო იყო, მთავრობა დაუბრკოლებლად აძლევდა ქართველებს მოხელეების თანამდებობას და ნიშნავდა ჩინოვნიკებად. ამ მიზნით მთავრობამ პირველადვე სასწავლებელიც დააარსა ქართველ თავადების რუსულ წესზე გამოსაზრდელად და ჩინოვნიკობისთვის მოსამზადებლად. შემდეგში, პოლიტიკურ მოსაზრებითა და საჭიროებით, სასწავლებლის რიცხვი თან და თან გამრავლდა და მათთან ერთად გამრავლდა რიცხვი მოსწავლე და ნასწავლ თავადებისაც.

სანამ ჩვენში ბატონ-ყმობა მოშლილი არ იყო, სასწავლებლებსა და სახელმწიფო სამსახურში, ადგილობრივ ელემენტთაგან, მარტოოდენ თავად-აზნაურნი შედიოდნენ, რადგან არც ერთ სხვა წოდებას ქართველებში არ ჰქონდა ამისთვის არც მოხერხება და არც თავისუფლება. მაგრამ ბატონ-ყმობის მოსპობისა და შრომის განთავისუფლების შემდეგ ეს მდგომარეობა შესამჩნევად შეიცვალა, და ჩვენ ვხედავთ, რომ, განსაკუთრებით მეოთხმოცე წლებიდან, როდესაც ცოტაოდნად აღებმიცემობისა და სოციალურ დიფერენციაციის ნიშანი დაეტყო ჩვენს ცხოვრებას, არა თავად-აზნაურული ელემენტიც თანდათან უფრო და უფრო მიიწევს სკოლებისა და სწავლა-განათლებისაკენ. და დღეს ეს მისწრაფება ისე ძლიერია, ისე მძლავრად აქვს იგი მოდებული მთელს ქართველ საზოგადოებას, რომ ჩვენისთანა პატარა და ღარიბ ხალხს, თანაც ჩვენს მდგომარეობაში მყოფს, მეტი არც კი მოეთხოვება.

ამ შემთხვევაშიაც, როგორც ბევრ სხვა რამეში, თავად-აზნაურობის მაგალითი და შეხედულება მისაბაძი გახდა ქართველობის სხვა ელემენტებისთვისაც. როგორც თავად-აზნაურობა რუსულ სასწავლებლებს ეტანებოდა და დღესაც ეტანება იმ მიზნით, რომ შემდეგ, დიპლომის საშუალებით, სახელმწიფო სამსახური მიიღოს, ისევე სხვა ელემენტებიც სწორედ უფრო იმგვარ სასწავლებლებს ელტვიან, რომლებშიაც სწავლება ჩინოვნიკების მოსამზადებლად არის მომართული. მართალია, რუსეთში საზოგადოდ ყველა სასწავლებლები სახელმწიფო მოხელეთა მომზადების საქმეს ემსახურებიან, მაგრამ განსაკუთრებით ასეთი მიზანი უფრო გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დამახასიათებელია. და, აი, სწორედ გიმნაზია და უნივერსიტეტი შეიქმნა სალოცველ ხატად და მისწრაფების უპირველეს საგნად ყოველ ქართველისათვის. გიმნაზია და განსაკუთრებით უნივერსიტეტი ისეთ საჭირო და აუცილებელ მოთხოვნილებად გადაიქცა ქართველის წარმოდგენაში, რომ დღეს საშუალო მდგომარეობის ქართველს სირცხვილადაც კი მიაჩნია, თუ თავის შვილებს, ან თვითონ ან სხვისი დახმარებით, სწავლა ვერ მიაღებინა უნივერსიტეტში. და, ჩვენის აზრით, სწორედ ეს მოვლენა არის ქართველობის თვისებურ სულიერ განწყობილების გამომჟღავნებელი და ჩვენ მიერ ახლანდელ სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებათა შეუგნებლობის მაჩვენებელი.

აბა დააკვირდით: წარსული საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში მაინც სრულიად ცხადი შეიქმნა, რომ სამეურნეო ასპარეზზე ძველის წესით საქმიანობა თანამედროვე აღებმიცემობის ხანას აღარ შეფერებოდა. აუცილებელი იყო შესაფერის ცოდნითა და გამოცდილებით შეიარაღებულიყავით, რათა ჩვენი სამეურნეო საქმიანობა გაგვებარაქიანებია და ცხოვრებაში რეალური ნიადაგი დაგვეჭირა. ამ შემთხვევაში შესაფერი ცოდნა და სწავლა-განათლება შეიქმნებოდა ნამდვილი იარაღი როგორც საერთოდ ხალხის ეკონომიურ ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ისე თითოეულ „ნასწავლ“ ქართველისათვის დაბალ სოციალურ საფეხურიდან უფრო მაღალში გადასასვლელად, ვინაიდან ახლანდელ დროში სოციალური დაწინაურება გვარიშვილობასთან კი აღარ არის დაკავშირებული,—ქონებრივს შეძლებასა და ეკონომიურს წარმატებაზეა დამყარებული.

მაგრამ, საუბედუროდ, ამისათვის ჩვენ არ დაგვირჩა არც შეგნება და არც საჭირო სულიერი მიდრეკილება. სასოფლო მეურნეობის შესწავლა, ტეხნიკური ცოდნა, საკომერციო განათლება და საზოგადოდ პრაქტიკული სწავლა მხოლოდ იმისთვის არის გამოსაყენებელი, ვისაც დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობისადმი შინაგანი მისწრაფება და ხალისი აქვს, ვისაც საკუთარის თავსნობისა, ენერგიისა და ხასიათის სიმტკიცის იმედი მოეპოვება. ჩვენ კი სწორედ ეს გვაკლდა და გვაკლია დღესაც. ამიტომაც ქართველობა მარტოოდენ იმ გვარ სასწავლებლებს მიაწყდა, სადაც ჩინოვნიკობის უფლების მოპოება შეიძლებოდა.

ყოველ ადამიანს აქვს სურვილი და მეტ-წაკლებობით მისწრაფებაც, თავის შედარებით მდარე მდგომარეობიდან გამოვიდეს და, თუ შესაძლებელია, უფრო მაღალსა და უპირატეს საზოგადოებრივ კლასში ჩაერიცხოს. რადგან ქართველობის არც ერთი წრე თავისში ხალისსა და ძალ-დონეს არ გრძნობდა, ეს სურვილი დამოუკიდებელ სამეურნეო საქმიანობის საშუალებით განეხორციელებია, ამიტომ მან ის გზა აირჩია, რომელიც უფრო ადვილად და ხელმისაწვდომად ეჩვენებოდა: კლასიკურ-განათლების საშუალებით სამსახურის მოპოება.

ქართველისთვის, რომელიც,—როგორადაც ვაჭრობასა და საერთოდ საღებმიცემო საქმეებს თავიდანვე ჩამოშორებული ადამიანი,—ფულის მხრით ვოველთვის ხელ-მოკლედ იყო, ჩინოვნიკობა და საზოგადოდ სამსახური სახარბიელო საგნად გადაიქცა. ჯერ ერთი, როგორც ნივთიერ საღსრის

მომცემი ცხოვრებაში, და მეორეც, როგორც საშუალება სოციალურ კიბის უმაღლეს საფეხურზე ასასვლელად. რახან თავისთავად გვარიშვილობას რეალური ღირებულობა დაეკარგა და მხოლოდ ჩინი და ჩინოვნიკური ხარისხი გახდა საშუალება საზოგადოებაში პატივისა და გავლენის მოსაპოებლად, ქართველობის არა თავად-აზნაურულ ელემენტებსაც „გზა გაეხსნათ“ და, კლასიკურ განათლების სახით, შეძლება მიეცათ „დაბალ წოდებიდან“ „მაღალს წრეში“ გადასასვლელად. ქართველ გლეხს, ვაჭარს, ხელოსანს, მრეწველს მღვდელს დღესაც სასახელოდ მიაჩნია, რომ მისი შვილი სადმე სახელმწიფო დაწესებულებაში მსახურობს და მოხელის უფლებით აღჭურვილი არის. სასწავლებლის დიპლომი, ჩინი და სამსახური მას ათანასწორებს სამსახურისავე დიდ გვარიშვილის კაცთანაც, ხოლო არა სამსახურის ხალხის წინაშე მისი უპირატესობა ხომ ყველასთვის ცხადია და საგრძნობელია. დღესაც უბრალო სოფლის მწერალს ხელში უჭირავს მთელი სოფლის საზოგადოება და აბა რა გასაკვირია, რომ ასეთ გარემოებაში ხალხის შემეცნება დიდად აფასებდეს ცოტა უფრო მოზრდილ თანამდებობის მოხელის სამსახურსა და საქმიანობას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ გიმნაზიისა და უნივერსიტეტის დანიშნულება სავსებით შეეფერება ქართველის სულიერ ბუნებასა და მოთხოვნილებას. ხსენებულ სასწავლებლებში ახალგაზდობას იმგვარ ხელობისთვის ამზადებენ, რომელსაც ბევრის მხრით „აზნაურული“ ხასიათი და ელფერი აქვს, ე, ი. სწორედ ის თვისება, რომელიც ყველა ქართველის არსებაში, ცხადად თუ ფარულად, ბუდობს და ჯერაც არ აღმოფხვრილა. არა? როგორ არა:—ჯერ ერთი, კლასიკურ განათლების მიმღები ინტელიგენტი არსებითად შორდება პრაქტიკულ სამეურნეო საქმიანობას; ქართველობასაც სწორედ ეს საქმიანობა მიაჩნია დაბალ ღირსებისად და „ნასწავლ“ კაცისთვის შეუფერებლად. მერე: სასწავლებლის დიპლომი იძლევა—ან, ყოველ შემთხვევაში, იძლეოდა—სახელმწიფო სამსახურს; ქართველობასაც დღემდის სწორედ ეს სამსახური მიაჩნდა სახარბიელოდ: თავად-აზნაურობას—როგორც თავისთვის „შესაფერი“ საქმიანობა, ხოლო სხვა ელემენტებს—როგორც საშუალება საზოგადოებაში „ზევით“ ასაწევად ანუ—ახლობელი ცნება რომ ვახსენოთ—„გასააზნაურებლად“. და აბა როგორ არ მოიკიდებდა ნიადაგს ჩვენში კლასიკურ განათლებისადმი სიყვარული, როცა კლასიკური სასწავლებლები სწორედ იმ გვარ ხელობის ხალხს ამზადებენ, რომელიც სრულს კმაყოფილებას აძლევს ქართველობის სულიერ მისწრაფებას. თავადისა ან აზნაურის შვილი, რომელსაც სასწავლებელი გაუთავებია და რაიმე თანამდებობა უშოვნია, მარტოოდენ ისტორიულ დოკუმენტის პატრონი კი აღარ არის, არამედ სოციალურ ღირებულობის ოფიციალური მოწმობაც აქვს მოპოვებული. გლეხისა ან მეწვრილმანის შვილიც, რომელსაც დიპლომი და მოხელის ადგილი მიუღია, აღარ ეკუთვნის არც გლეხისა და არც მეწვრილმანის წოდებას, არამედ იმ „მაღალ“ წრის ხალხს, რომელიც საზოგადოების მმართველად და სამშობლოს ამშენებლად არის მიჩნეული. და გარეგნულად ეს ისეთი გარემოებაა, რომ ქართველ მშობელთა თავმოყვარეობას ათრობს და აკმაყოფილებს. თუნდა მისმა შვილმა სამსახურიც ვერ იშოვნოს, თავისუფალ პრაქტიკაშიაც ფეხი ვერ მოიკიდოს, ქართველი მშობელი მაინც კმაყოფილია მისი უნიადაგო სწავლა-განათლებით, რადგან მისი თავმოყვარეობა სრულიად უმნიშვნელო წვრილმან ამბებშიაც პოულობს თავისთვის საკმაო საკვებს. მისი შვილი ან წევრად ჩაეწერება ჩვენს რომელსამე გაძვალტყავებულ „საზოგადოებაში“, რამდენსამე სიტყვას დაროშავს სადმე საზოგადო კრებაზე, ერთ-ერთ პარტიაში ჩაეწერება და „ლოზუნგებით ლაპარაკს“ ისწავლის, ერთ საცოდავ „სტატიას“ გამოაცხობს რომელსამე გაზეთში, ან თვითონ დაიწყებს გაზეთის გამოცემას,—ერთის სიტყვით „ნასწავლი კაცი“, განსაკუთრებით ჩვენისთანა პატარა და უძლურ ხალხში, „თავის გამოჩენას“ ასე თუ ისე ყოველთვის მოახერხებს და, მაშასადამე, მშობელ-ნათესავებს სულიერად გაახარებს და ყოველ შემთხვევაში მეზობლების შესანატრად მაინც გახდის,

ამგვარად უნდა აიხსნას ჩვენი საერთო გატაცება კლასიკურ სასწავლებლებითა და განათლებით, რამდენადაც ამ გატაცებაში საზოგადოდ რაიმე აზრი და შეგნება გამოიხატება. მაგრამ კერძო შემთხვევებში ხსენებულ გატაცებას ხშირად და ძალიან ხშირად სრულებით არ ჰქონდა საფუძვლად ის გარკვეული მიზანი და მოსაზრება, რომელიც მასში ჩვენმა ანალიზმა აღმოაჩინა. და არ ჰქონდა იმიტომ, რომ იგი მისწრაფება არა იშვიათად იყო და არის შედეგი უფრო წახედულობის და წაბაძულობისა, ვიდრე საქმის გარკვევით აწონ-დაწონვისა და მერმისის გათვალისწინებისა. არა ერთსა და ორს ქართველ მშობელს მიუბარებია თავისი შვილი გიმნაზიაში, არა ერთი და ორი, არამედ ათი და ათასი, დღესაც მუხლს იყრის იმავე სასწავლებლის წინაშე მხოლოდ იმიტომ, რომ „ყველა ასე სჩადის“, რომ სხვებიც—უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და მეზობელი—იქ მიდიან და იქ მიღებულ სწავლას სთელიან საჭიროდ და გამოსაყენებლად. როგორც ცხვრები, ჩვენც ერთმანეთს მივდევთ კუდი-კუდზე გადაბმულნი და, რაღაც პსიხიურ გადამდებლობით, უნებურად ვითვისებთ შემთხვევით წინ მიმავალთა ნაბიჯსა და სიარულის მაგალითს. და ამის გამო სრულიად შეუგნებ-

ლად მივყვებით საერთო მიმდინარეობას და ერთ-ხელაც თავს არ ვეკითხებით, თუ საი ? მივდივართ ან სად უნდა მიგვიყვანოს ამგვარმა სიარულმა.

შემდეგს წერილში ჩვენ საკითხის ამ მხარეს შევეხებით და ვეცდებით გავარკვიოთ და აეწონ-დაწონოთ, თუ რას იძლევა სასწავლებელი და რამდენად არის ეს ახლანდელ ცხოვრებაში გამოსაყენებელი.

ფ. გოგიჩაიშვილი.

სონეტი.

ვთრთოდი,
ვკვნესოდი,
ვიმდურეებოდი,
ხან იას ვკრეფდი — დავთამაშებდი,
ხან ტყე-ღრე ვრბოდი, ცას შევჩერდი, —
მსურდა მეპოვნე და მეც... გეძებდი!..

* * *

გიხილე... წალკოტს იდექი მარტო,
თავს დაგფრინავდა ცის ანგელოსი,
ხელთ გეპყრა ნაზი ყვავილისა რტო,
ბუჩქით მოწყვეტილ ტურფა მდელოსი.

* * *

ქედი მოვხარე თაყვანის ნიშნად,
წამს აღიარე ჩემს საღოცველად
და აგირჩიე ცხოვრების მიზნად,
ჩემად მტანჯველად,
მფარველად,
მცველად!...

ი. გრიშაშვილი.

გიკვირთ?

(ვუძღვნი ბ. ალარდიელს).

ქართველები ისეთი ხალხი ვართ რომ ბევრს შემთხვევაში, თავის გრძნობას, თავის თვალებს და ყურებს როდი ვენდობით; უსათუოდ სხვამ უნდა გვიკარნახოს ის, რაც ყურით გვესმის; სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე, რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ, მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახით: ბიჭოს, ეს ხომ მართალი ყოფილა და არ ვიცოდითო! გვიკვირს და ვოცდებით იმის გამო, რომ ცეცხლი მწვავე ყოფილა, ყინული ცივი და მგელს ცხვრის ჭამა სცოდნია. ამისთანა უბრალო ჭეშმარიტებასაც-კი სხვისაგანა ვსწავლობთ. ტყუილია? არ არის ასე? რომ ჩემი ნათქვამი მართალია და არა ჭორი, მოგაგონებთ ბ. საღათელიანის ნალაპარაკევს პეტერბურგში, ერთ რუსის ოჯახში და იმის გამო ჩვენს მწერლობაში აღძრულს მითქმა-მოთქმას და აყალმაყალს: უყურეთ ჩვენ ძმა-მეზობლებს გულში რა სდებიათ და ჩვენ კი არ ვიცოდითო. გიკვირთ? რად გიკვირთ?.. ნუ თუ ეს ჩვენ არ უნდა ვიცოდეთ და თუ ვიცით ამ ცოდნას რადა ვმალავთ? რად ვხუჭავთ განგებ თვალებს და რად არ გვინდა სინამდვილე დავინახოთ? ღიღ, არ გვინდა დავინახოთ, რადგან სინამდვილის დანახვა თვალებს გვატკენს, უსიამოვნო გრძნობებს აღგვიძრავს, მოითხოვს ჩვენგან შრომას, ხელების განძრევას... არ გვინდა, ჰო, ავადმყოფი დედის ნახვა, რადგან ეს ნახვა საზრუნავ საგანს გაგვიჩენს: უნდა მოუვაროთ ავადმყოფს, უნდა ექიმი მოვიწვიოთ, ხარჯი გავწიოთ, ?ვიდრე კარგად არ შეიქნება, გვერდს უნდა ვყავდეთ და სხვ. და სხვ.?! ვერაფერი დედა შვილობაა!..

რა საჭიროა ამგვარი ცნობების მომცემი კორესპონდენტები, რომელნიც ვითომ ერთგულობას გვიწევენ, ჩვენის მხრით მადლობის გრძნობას იწვევენ და გულში რა აქვთ, ალაჰმა უწყის, როცა ჩვენც კარგად ვხედავთ ყველაფერს, მაგრამ არ გვიბდა დავინახოთ, განგებ თვალებსა ვხუჭავთ და ვემსგავსებით იმ სირაქლემას, რომელსაც მონადირე ეპარება, ის კი ნაცვლად იმისა, გაიქცეს, გაირიდოს, ქვიშაში თავსა ჰყოფს, ჰმალავს, არ დავინახო ჩემი მკვლელიო.

ასი წელიწადია ჩვენ ვიყვლიფებით ჩარჩებისაგან, როგორც ბ. საღათელიანი აღიარებს, ვილანძღებით, ვხდებით დაცინვის საგნად და არ ვიცით რა ამბავია ჩვენს თავს. საიდან მომდინარეობს ჩვენზე ეს ვაება?.. ამისთვის რად გვინდა ჩვენ უცხო მოენე, რომელიც ვითომ სიკეთეს გიშერებათ— ეი თქვენზე ამას ამბობენო და გული-გულში თავადაც დაგვცინის, ცდილობს რაღაც აბლაბუდა გაბას, წყალი აამღვრიოს, და თევზები დაიჭიროს. მე, ჩუმად, მრცხვენიან უცხოელის მიერ ჩემს თავზე ამისთანა ამაგის გაწევისა... ჩვენ უკეთესი დოკუმენტი გვაქვს ჩვენი საუკეთესო მამულიშვილისა (ქვათა-ღაღადი), საიდანაც ვისაც თვალნი არა აქვნ ხედვად მაინც დაინახავენ ცხადად საგანს, და თუნდ ყრუ იყვნენ მაინც შეესმენენ ყველაფერს.

მაშასადამე, აქ ცოდნაზე, თუ ვინ რა აზრისა არის ჩვენზე, — ქართველებზე, ვინ რას გვიპირობს, რა ხაფანგს გვიგებენ, ლაპარაკი მეტია. ეს არამც თუ ნასწავლმა, უსწავლმა ჩვენმა ტეტიამაც კარგად იცის, მაგრამ ის ხმას არ იღებს, არ იღებს იმიტომ, რომ არ იცის ამ ქსელს როგორ დააღწიოს თავი; იმ ბარდიდან როგორ გამოძვრეს, რაშიც გაბმულა, რა გზით განითავისუფლოს თავი. დღეს, თუ გნე-

ბავთ, აი, ამაზე ვილაპარაკოთ, ვიბაასოთ. თორემ სომეხი ჩარჩი აქ არაფერს შუაშია, სომეხ ჩარჩს გარდა სხვა რომ ყოფილიყო, ჩვენი დამდურების მნახველი, ისიც ასე მოიქცეოდა,, როგორც გვეპყრობიან ჩვენი ძმა-მეგობრები.

რა გავაკეთეთ ჩვენ იმ თავით ამ ნიადაგზე? ჩვენმა ინტელიგენციამ რა გზაზე დააყენა ერი? საუბედუროდ იმას დაუწყო კეთება რაც ჩვენ დაგვღუპავდა, რაც ჩვენს ერს ცხოვრების გზა-კვალს აურევდა. ამას ინტელიგენცია, რა თქმა უნდა, შეგნებით, განგებ არა სჩადიოდა, ხოლო საქმე ასე გამოვიდა, ნაყოფი მათ მოღვაწეობისა ამას გვამცნებს. ერისთვის უნდა ერგოთ, მაგრამ ჭვნებდენ.

მე-40 წლებიდან ხელი შეუწყვეს, რომ ჩვენი მეგობარ-მეზობლები გაძლიერებულიყვნენ ქონებით, ხოლო ჩვენ დავკნინებულიყავით და აი როგორ: ყველა ჩვენს კომენდიანჩიკს ანტონოვიდან დაწყებულს, პოეტს თუ პუბლიცისტს ზნედ სჭირდა დაესურათებინა სომეხი მხდალად, ხოლო მისი ხელობა ვაჭრობა საზიზღრობად. ვაჭრობა, ნაცვლად იმისა, რომ შეეყვარებინათ ხალხისათვის, შეაზიზღეს; ამისათვის არც ბევრი ტყვია წამალი იყო საჭირო, რადგან რაინდული ხასიათის ქართველს ბუნებრივად არა აქვს მიდრეკილება ვაჭრობისაკენ, მით უმეტეს რომ ამ ვაჭრობის სინონიმად გახადეს **მხდალობა.**

თამაშობდენ სცენაზე იმისთანა პიესებს, სადაც სომეხი იყო გამოყვანილი, როგორც მატყუარა, ნშიშარა. ვიცინოდით, ვხითხითებდით და დღეს კი ვსტირით. ყველაზე პოპულიაოული პიესა იმ დროს იყო „ძუნწი". ამ პიესებს ესწრობოდა ჩვენი სოფლის ბელადი თავად-აზნაურობა რომლის ბედოვლათობას, დარდიშანდობას ამგვარმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო. მაშასადამე იმ თავითვე ჩვენ თვალებს ვხუჭავდით სინამდვილეზე, არ გვინდოდა დაგვენახა იგი, ღრმად ჩავკვირებოდით საგანს.

აკაკიმ 80 წლებში დაწერა ერთი ლექსი ცოტა სხვა სუნისა და ყაიდისა: „ვაჭარო, მაგ შენ აბაზში სისხლი და ოფლი ჩემია, რატომ არა გაქვს ღვთის შიში, ან კაცის არა გრცხვენიაო?" დაამთავრა ეს ლექსი შემდეგი სიტყვებით: „სისხლ-მეტი ხომ არ გაწუხებს, ხომ არ თხოულობ დალაქსაო?!" თვით ეს ლექსიც ვაჭარს და ვაჭრობას საძაგელ ხელობად გვიხატავს და მისი მოტივი განსხვავდება ძველი მოტივისაგან მხოლოდ მით, ნაცვლად იმისა ეჩვენებინა კულტურული საშუალება ბრძოლისა, თუნდ ეთქვა მაგალითად—დადეგ, თორემ მეც სასწორ-ჩარექს და არშინს ავიღებო, ბაშიბუზუკური მუქარა, ჯავრის ამოყრა დასახა საშუალებად, ხსნად ჭირისაგან, რაიც წართმეულს ვერ დაგვიბრუნებს, მხოლოდ გაგვაბრაზებს, სისხლს გაგვიფუჭებს.

დიაღ, მაშინდელმა ინტელიგენციამ ვერ მოუარა თავის ერს, როგორც მისი სარგებლობა მოითხოვდა (ან კი როდის მოვუარეთ?), ვერ დააყენა საქმე ისე, როგორც გამოსადეგი იყო ჩვენთვის.

ეხლა ვინ უნდა უშველოს ხალხს? ვინ უნდა გამოიყვანოს იგი ამ ეკლიან ბარდიდან?—რა თქმა უნდა, ჩვენმა თვალ-ახილებულმა ინტელიგენციამ, რომელიც ამ მხრივ დღეს არაფერს აკეთებს და არც შემდეგისთვის ფიქრობს რამე გააკეთოს. ჩვენმა ინტელიგენციამ, თუ შეიძლება ამ გვარ ჰეროსტრატებს ინტელიგენცია დაარქვას კაცმა, ნაცვლად იმისა, ერისთვის ეჩვენებინა სწორე გზა ცხოვრებისა, ესწავლებინა თავის თავის მოვლა-პატრონობა, ქართველ კაცს აღებინა ხელი თავის პიროვნებაზე, თავის თავზე, შეეტანა ხალხში დამახინჯებული კოსმოპოლიტიზმი ერთობის სახელით, მოუკლა ეროვნული გრძნობა, დაუხშო ენერგია, დაუკეტა გზა თვით-ცნობიერებისაკენ: თავად-აზნაურობა უცხოელებზე ჰყოდის მამულ-დედულს, ხოლო გლეხობა თავის „ნადელების" ნაღალურს უგდებს ხელში ჩარჩებს .. ჩვენ კი ვუცდით გარედან მუჯლუგუნს, კისერში კისტებს. უცხო, გარეშე კაცის ატეხილს განგაშს: ადე, ძმობილო, ადექი, გაიღვიძე, რა დაგმართნია, ჰხედავ რა ამპავია შენს თავსა, რამ დაგაჩლუნგა, რამ დაგაოჩნა"?! მანამდე კი უნდა გულზე ხელები დავიკრიფოთ, მივანდოთ ჩვენი თავი ბედსა და იღბალს...

გიკვირთ? მე არ მიკვირს.

ვაჟა ფშაველა.

ჩვენი ბედი.

(დასასრული)

—

როდესაც ხალხს ტერიტორია აქვს შერჩენილი, ან შეუძლია შეირჩინოს იგი მიუხედავათ მრავალ-გვარ დამაბრკოლებელ მიზეზთა, მისი ბედი არ არის გადაწყვეტილი, რადგან-ც განსაზღვრულ ბინაზედ, განსაზღვრულ პირობებში მას ყოველთვის შეუძლია შექმნას საკუთარი ეროვნული ცხოვრება, საკუთარი კულტურა,—შეუძლია აღაშენოს და განაძლიეროს საკუთარი ეროვნული საზოგადოებრივი ორგანიზმი. განვითარების ნიპის მქონე. უფრო ადვილია ეს იმ ერისათვის, რომელსაც უკვე ჰქონია ისტორიის ვითარებაში ასეთი საზოგადოებრივი ორგანიზმი, შერჩენია ტრადიცია თავისუფალი ეროვნული ცხოვრებისა.—ასეთი მაგალითი ბევრი მოიპოვება ხალხთა ცხოვრებაში, მონობიდან განთავისუფლებულ ხალხთა ახალ პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მაგრამ როდესაც ათასი მეტოქე, ათასი მტერი გეცილება ბინასა, როდესაც არც შენ შეგწევს

ძალ-ღონე მოსულ მტერს გაუმკლავდე,—მაშინ ბინის დაკარგვა შესაძლებლად ხდება, ბინის დაკარგვის შემდეგ კი საუკუნოდ უნდა გამოეთხოვო ოცნებასაც კი სრულ ეროვნულ ცხოვრებისას. არსად არ მოიპოვება დედამიწის ზურგზედ ისეთი ხალხი, რომ გაბნეული იყოს და ამავე დროს მისი ცხოვრება სრული ეროვნული იყოს. ამიტომაც ნაშთნი ძველ ებრაელთა და თანამედროვე სომეები, ეს ორი ენერგიით აღსავსე ხალხი, მუდამ სცდილობენ, რომ შექმნან განსაზღვრული ტერიტორია, ეს აუცილებელი პირობა, ეს ნივთიერი საფუძველი ეროვნულ არსებობისა. საზოგადოებას განსაზღვრული სივრცე უნდა ეჭიროს, გეოგრაფიულ რუკაზედ სივრცის ამ ნაკვეთს ამ ხალხის სახელი უნდა ერქვას,—მხოლოდ მაშინ არის იგი ერი, მხოლოდ მაშინ აფასებენ ძას და საერთაშორისო ღირსებას ანიჭებენ. ამაზეა აღმოცენებული სიონიზმი, ამისკენაა მიმართული მთელი ცდა სომხის პატრიოტებისა, რომელთა მიზანია მოიპოვონ ვრცელი ტერიტორია, სადაც მთლიანად და განუწყვეტლად იქნება დასახლებული სომხის ერი, და არავითარ საშუალებას არ დაზოგვენ რომ განახორციელონ ეს დიადი იდეალი. ეს არის აღდგენა სომხეთისა, თორემ ვერც ფულით სიძლიერე, ვერც ვერავითარი კულტურული წარმატება ვერ შექმნის სომხეთსა, ვერ მოუპოვებს სომხის ერს ნაძდვილ ერის სახელსა და ღირსებასა.

ჩვენ?—ათასჯერ გვითქვამს, რომ ჩვენი ტერიტორიის კაი დიდი ნაწილი დაიკარგა და ზოგი მტერმა დაიჭირა ბრძოლით, ზოგიც სხვა ტერიტორიის მძებნელმა ხალხმა დაიჭირა საუკუნოდ. მაგრამ მაინც დაგვრჩა საერთო ტერიტორია, უდიდესი ნაწილი ძველის ტერიტორიისა, და მის მაგივრად, რომ გაუფრთხილდეთ მას და ხელიდან არ გაუშვათ, ყოველ ღონის ძიებასა ვხმარობთ, რომ ფეხ-ქვეშიდან გამოგვეცალოს. მართალია, ბევრი ისეთ მდგომარეობაშია, რომ უნდა გაყიდოს მიწა-წყალი, დავალიანებული და დაგირავებული აქვს მამული და მაინც დაეკარგება, მაგრამ თვით ერის სურვილი სხვას არ ჩაუგდოს ხელში თავისი ბინა, თვით შეგნება რომ ეროვნული საფუძველი არ გამოვთხოვოთ ჩვენ თვითონ ჩვენ ფეხთა ქვეშიდან,—ეს სურვილი, ეს შეგნება სადღა არის?—სრული ბუშმარიტებაა, რომ ღარიბები ვართ, არა გვყავს განვითარებული ბურჟუაზია, ჩვენი თავად-აზნაურობა არც მუშაობს, არც შეუძლია მუშაობა და ფულის არც ღირებულების გაეგება რამე და არც მოხმარებისა; მართალია ისიც, რომ რაც თავად აზნაურობამ მამულების დაგირავებაში ფული აიღო, ის რომ მამულის მოვლაში გამოეყენებინა და არ შეეხეთქა ველურივით,—მთელი საქართველო ახლა აყვავებული იქნებოდა,—მაგრამ ის სურვილი რომ ეხლა მაინც მოაგვაროონ როგორმე მამულების გაყიდვის საქმე და ქართველები მაინც დაასახლონ თავიანთ მიწა-წყალზედ,—ეს სურვილი სადღა გაქრა?—რა ხანია დაიწყო ეგრედ წოდებული „მიწის მობილიზაცია“ და აბა თუ ერთხელ შეკრებულიყვნენ და სერიოზულად მოელაპარაკნათ, აბა თუ ერთხელ მოსვლიათ აზრად, რომ ცოტა ძალების შეკრება მაინც საჭიროა და ასეთი ძალებით გაძღოლა საერთო დიდი საქმისა. პირიქით, ყოველმა თავადმა გამდიდრება მოინდომა, სცდილობს კიდეც ჩუმად მიჰყიდოს ადგილები უცხო ელემენტებსა, რომ არავინ გაუგოს და არავინ შეარცხვინოს.—გლეხებიც ბევრი შეუგნებლობით არ ყიდულობს მამულსა, ბევრმა არც კი იცის, იყიდება თუ არა, ბევრს ჩააგონეს რომ მუქთად დაგირიგდებათო და მართლაც დაიჯერეს სისულელით, ბევრი მდიდარია და ცარა სჭირდება, ბევრიც ღარიბია და არ შეუძლია ყიდვა. და აბა თუ შევსძელით ან ეს შეუგნებლობა და სისულელე გამოგვერეკა გლეხის თავიდან, ან მდიდრებში გაგვევრცელებინა ის აზრი, რომ აუცილებელი საჭიროა—მეზობლად, თავადის გაყიდულ მამულზედ, ან ისევ ქართველი დაესახლობენ, ან თვით იყიდონ, რომ უცხო არ ჩამოეთესლოს და არ დაუსახლდეს სამუდამო მტრადა. აბა თუ ერთ მდიდარ კაცს მოუვა აზრად, რომ თავისი მსგავსი მსხვილი ან წვრილი ვაჭარ მრეწველი შეაკავშიროს და შეერთებული ძალებით იხსნან საქართველოს ტერიტორია; მით უმეტეს უცნაურია ასეთი გულ-გრილობა, რომ ეროვნული ბანკის დაარსება, ან სხვა რამ საშვალება მიწების ყიდვისა და ქართველ გლეხებზედ გაყიდვისა არც ქველ მოქმედებაა და არც წყალობა,—ეს ერთი საქმეთაგანია, რომელიც შეიძლება დიდ მოგებასაც მისცემს საქმის დამწყებთა. შეიძლება წასაგები საქმეც იყოს,—მაგრამ უფიქრიათ, უანგარიშნიათ, გაუთვალისწინებიათ კი როდისმე ეს დიადი ეროვნული საქმე ჩვენ კრებებსა? არასოდეს!—

დიახ, საქმე მარტო სიმდიდრე კი არ არის, ჩვენი უბედურობა მარტო სიღარიბე კი არ არის, არც თავად-აზნაურობის მფლანგველობა, ან შეუგნებლობა თავადთა და გლეხთა,—ან სხვა რამ,—არამედ ჩვენი დიდი უბედურობა ისიც არის, რომ რაცა გვაქვს, იმ ცოტა ძალების შეერთება, კოორდინაცია და განსაზღვრულ მიზნისაკენ მიმართვაც არ შეგვიძლია. არა გვაქვს ძლიერი სურვილი არც ტერიტორიის დაცვისა და არც საზოგადოდ ეროვნების შენახვის, მაშინ როდესაც ასეთი სურვილი სხვებს აქვსთ, შეიძლება ჩვენზედ უფრო ღარიბებსა, და ამითა გვჯობნიან. ძლიერი ნებით, ძლიერი შეგნებითა და სურვილით შეიძლება მცირე ძალთაგან ისეთი მტკიცე ორგანიზაციის შექმნა, რომ დაღუპვას გადავრჩეთ და ცოცხლად დარჩენილს კი ყოველთვის შეუძლია მუშაობითა და მოქმედებით გაძლიერება და უდიდესი წარმატება.—მაგალითის-

თვის შორს რად წავიდეთ: დღეს მრავალ იმერლობასა და რაჭველებს სული ხდება უმიწაწყლობით, ესახლება ყუბანის ოლქშიაც კი, ფულსაც გაიღებს, რადგანაც ადგილობრივ ყოველისფერსა ჰყიდის, ჩვენში კი ეს ტალღა ვერ მივმართეთ აღმ. საქართველოსაკენ, სადაც აჭრელდა ტერრიტორია, სადაც გასწეწეს და გამოსწეწეს საქართველოს უმთავრესი ნაწილი და სადაც ლამის არის ქართველობამ უმცირესობა წარმოადგინოს, იმდენი უცხო ელემენტი მოაწყდა თბილისის გუბერნიასა. ქართველი დასავლეთიდან ინსტინქტიურად მოდის, თვალდახუჭული. გზაში კიდევაც სძარცვავენ ჩვენი ბრწყინვალე რაინდები, მათრახით გამდიდრების მსურველნი,—საქონელმა ჩვენ ადგილზე გამოიარა და საძოვრის ფულიო,—და აბა თუ მცირე რამ დახმარება გაგვიწევია, აბა თუ ერთხელ აგვიღია საქართველოს რუქა და მცირე ნაბიჯი წარკვიდგამს იმ დიდი საქმის განსახორციელებლად, რომ სადაც ნაკლებია ქართველობა, ეს ნაკლი შეგვევსო სხვა ადგილას არსებულ ქართველ ხალხის ფონდიდან! ჭკუაც ასეთი უნდა!..

ვერც გარეშე პირობები, ვერც სიღარიბე, ვერაფერი ვერ გაგვამართლებს ასეთს საქციელში;—ის დაწყევლილი პსიხიკა, განუვითარებელი და ველური პსიხიკა გვღუპავს, რომელზედაც ამას წინად მოგვახსენა ბ-ნმა ფ. გოგიჩაიშვილმა. დავიღალეთ, რამოდენიმეჯერ აშენებული საქართველო თავზედ გადაგვალეწეს და ეხლა უკვე ძალა აღარ შეგვწევს ხელ-ახლა ავაშენოთ სამშობლო,—ამიტომაც გვაქვს ასეთი ფსიხიკა, რომელიც ახალ ცხოვრებას ვეღარ უძლებს, იდრიკება და დამარცხებულებსა გვტოვებს. როგორი უნდა იყოს მომავალი ბედი ასეთის ხალხისა? განა, როცა ამაზედ ვფიქრობთ, სასო არ წარგვეკვეთება ხოლმე?—ტერრიტორიის შერჩენა და დანგრეულ ეროვნულ ორგანიზმის ხელ-ახლად აშენება და გაძლიერება მხოლოდ ძლიერი ნებით შეიძლება. ჩვენ კი ქართველობაც წაგვრთმევია, შეგნებაც ჩვენი ქართველობისა და სად გვექნება ასეთი ძლიერი კოლლექტიური ნება. ეს ნება რომ იყოს, აკი ვამბობთ, იმ მცირე ძალთაგანაც შეიძლებოდა თავის დაცვა, რაც ეხლა გვაბადია. მაგრამ პროვინციალიზმს განა ღრმად არ გაუდგამს ფესვი ჩვენს სულსა და გულში?—

პროვინციალიზმმა ისტორიის განმავლობაში დიდი ვნება მოგვიტანა. საქართველო სამეფოებად და სამთავროებად დაყოფამ დაღუპა, დაქსაქსა ისედაც მცირე ძალა და მტერიც უფრო ადვილად გვერეოდა. შეიძლება ამ წარსულიდან შეგვრჩა დღესაც ეს დამღუპველი გრძნობა პროვინციალურ სიმპატია-ანტიპატიისა, რომელიც ისე ღრმად არის ჩვენს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ საუკეთესო მამულიშვილებსაც თვალს უხვევს და თვით საქართველოს დაღუპვასაც რომ ჰხედავდენ, მაინც მოერევათ ეს საძაგელი გრძნობა. არას ვიტყვით იმ მემამულეებზედ, რომელთაც ეზიზღებოდათ „ჟულიკი" იმერელი და სხვას, უცხოს ჩაუგდეს ხელში მთელი მაზრები, მხოლოდ კი იმერელი არ ენახათ თავიანთ მამულში, თავიანთ მეზობლად! რა დასაფარავია, დღესაც ეს არის ერთი უღრმეს მიზეზთაგანი, ჩვენს ქვეყანას რომ ჰღუპავს, და თუ შემდეგ თაობაში მაინც საქართველოს ხალხის სულიერი ერთობა არ განმტკიცდა, ვერასოდეს კონკურენციას ვერ გავუწევთ იმ ხალხებს, რომელთაც ერთობა უმწვერვალეს ხარისხამდის აქვთ განვითარებული და არ დაგიდევენ, სადაურია რომელიმე მათი ნაწილი,—მხოლოდ კი ბინა უშოვნონ და ტერრიტორია შეიოიხაზონ!

რამდენი უნდა ჩამოვთვალოთ ჩვენი დაქვეითებისა და უძლურობის მიზეზი.. გარეშე პირობები, მთელი ჩვენი ისტორია, სრულიად ჩვენი ეხლანდელი ხასიათი, ჩვენი პსიხიკა,—ყოველივე ესე ხელს გვიშლის ჩვენი ბედი მომავალში ბრწყინვალე გავხადოთ.

თუ წარსულში მოსული ბატონები გვანიავებდნენ, დღევანდელი ბატონები უარესს სჩადიან. თუ წარსულში სოლიდარობის მაგივრად მოტყუებასა და ვერაგობას გვიძღვნიდნენ, დღესაც ჩვენს მეზობლებს სოლიდარობა განა ისე, სწამთ, როგორც კონტრაქტთა პატიოსანი აღსრულება, როგორც საერთო მოქმედება, ურთი-ერთის დათმობა, არამედ როგორც ერთმხრივი სარგებლობის კონტრაქტი,—სოლიდარობა მათდამი, და არაჩვენდამი, მათდა სახეიროდ და ჩვენდა დასაღუპავად. როცა მისთვის ეს სოლიდარობა ოდნავ მაინც სასარგებლო და გამოსადეგი არ არის, მაშინ მტრობასაც გიცხადებენ!—ასეთი ხალხის სოლიდარობა, მართალი გითხრათ, ვერაფერი სანუგეშოა და ტყუილი იმედი უნდა გვქონდეს მისი.

„ჩვენი თავი ისევ ჩვენ უნდა გვეკუთნოდეს", სხვის იმედით ცხოვრება შეუძლებელია, მაგრამ ჩვენც რომ აღარ შეგვწევს საკმაო ძალა,—ეს წარგვიკვეთს სასოსა.

ჩვენი ეროვნული ორგანიზმი დიდი ხნის ნაშთია, ათასჯერ დანგრეული, ათასი რამ მასში ძველი დარჩენილა, ათასი რამ სასარგებლოა, ათასი რამ უვარგისი და დაძველებული, ათასი რამ გასაახლებელი. აუარებელი ენერგია გვჭირდება ამ დიდი საქმის შესასრულებლად, დიდი განზოგილი მოქმედება ახალ ცხოვრებასთან ახალი ეროვნული ორგანიზმის შეერთებისათვის. ეხლანდელი თაობა ამას ვერ შესძლებს. იგი დაღლილია და ენერგიადასნეულებული. მხოლოდ მომავალ თაობას თუ შეეცვლება პსიხიკა აღზრდითა და შესაფერი მიზანშეწონილი მოქმედებითა. ამ შთამომავლობის აღზრდა მაინც უნდა შევასრულოთ ჩვენ, დაღლი-

ლებმა და სასოწარკვეთილებმა.

ხოლო მუდამ განმტკიცება ქართული ერთობისა სიტყვით მაინც, აგრეთვე მცირე მუშაობა მაინც არსებულ ძალების კოორდინაციისა და განსაზღვრულ მიზნისაკენ მიმართვისათვის,—ჩვენი ვალია და შეძლებისა დაგვარად არასოდეს არ უნდა ვუღალატოთ ამ მოვალეობას.

ვიფართხალოთ, და იქნებ ჩვენი ბედი ოდნავ მაინც შეიცვალოს. თორემ სიკვდილის შემდეგ ჭირისუფალიც არავინ გვეყოლება

Baton.

ჰანგები.

1.

მთვარე მისცურავს ვარსკვლავნი ჰკრთიან.
ღრუბელს მთის ძირში ჩასძინებია
მდუმარებაა. . დუმილი ისმის
და ფიქრსა ფიქრი აჰკიდებია.
კლდენი სასტიკად მოღერებულან,
ველზე გრძლათ წვანან ხეთა ლანდები...
ირგვლივ ყოველი საშინელია
და ფეხაკრეფით მივიპარები.

2.

მუხლს დაყრდნობილი დავყურებ ჩანჩერს,
სალს კლდიდან გრგვინვით უფსკრულს გადმომჩქეფს
ძირს ატეხილი ჭალა ტრიალებს
და შესტრფის ირგვლივ მთათა მწვერვალებს.
აქ მეფე არის ხარი ირემი,
აქ დახტის ცქვიტათ ყელ-ყელა შველი,
აქ ქრის ნიავი ფოთოლთ მრხეველი
და მღერის შაშვი გახარებული.
ჰოი ბუნებავ! შენმა შვენებამ
ვის არ აღუვსოს შვებითა გული?!
მოველ, მიმიღე შენდა მეგობრად
ხალხის დევნილი და განკიცხული.

3.

გნახე და შენმა მშვენიერებამ
მყის წარმიტაცა ჭაბუკსა გული,
ვიგრძენ ტყვეობა ტკბილ სევდიანი,
და აღსდგა ტრფობა, ვით გაზაფხული.
აღმოხდა კიდეც ნორჩ გულსა კვნესა,
ლოცვა უმანკო სიყვარულისა...
მაგრამ თან ვშიშობ, არ დაჭკნდეს მეთქი,
როგორც ყვავილი გაზაფხულისა.

4

ამბობენ: „მთებში მოცურდა
ღრუბელი მშვიდი, მდუმარი,
მშვიდათ, ჩათხრომით იწვიმა
და კვლავ წავიდა, ვით მგზავრი“
ემზედაც ასე იტყვიან,
ოდეს მოვკვდები ამ ქვეყნად
და მხოლოდ სიტყვა „იწვიმა“
გამოიცვლება „იცრემლად“.

ი. მჭედლიშვილი

შინაური მიმოხილვა.

—

გასულ კვირას მომხდარი გაგრძელება წერაკითხვის საზოგადოების კრებისა არა ჩვეულებრივ ხანგრძლივი იყო, თითქმის რვა საათს გაგრძელდა. კრების გარეშე მყოფი იფიქრებს დიდი პრინციპიალური კიმათი იქნებოდა ალბად და ამიტომაც ასე გაჭიანურდა საქმეო. მართლა კი საოცარი ლაპარაკი, ერთისა და იმისივე გამეორება. გამგეობაზე მიტანილ იერიშს მხოლოდ ერთი მიზანი აქვს—გამგეობას უნდობლობა გამოუცხადოს და ამით სახელი გაუტეხოს საზოგადოების თვალში, ხოლო ეს უნდობლობის გამოცხადების მისწრაფება დამყარებული კი არაა რაიმე პრინციპიალურ საფუძველზე. პირიქით გესმის ასეთი მსჯელობა—ჩვენ ვგრძნობთ, რომ არც ერთს გამგეობას ამდენი არ უმუშავნია დასკვნა — ამიტომაც უნდობლობას გიცხადებთო. ვინც ჩვენ ცხოვრებას იცნობს, ვინც ჩვენებურ პოლემიკის და საზოგადოებრივ ბრძოლის ხასიათი იცის, ასეთი ახირებული მოვლენა არ უნდა აკვირვებდეს მას. ჩვენში ბევრ მიზეზთა გამო შესუსტდა პიროვნების პატივისცემა, მოპირდაპირე არავითარ ზომას არ ერიდება, რომ თქვენ დაგამციროთ ალბად იმ მოსაზრებით, რომ თქვენი დამცირება მას აამაღლებს. მაგრამ ეს შეცდომაა. სხვისი დამცირებით თქვენ ვერ ამაღლებით—პარიქით, ის საზოგადოება, სადაც ურთიერთი პატივისცემა არ არსებობს, წინ ვერ წავა, ის ვერ მოიპოებს შინაგან ძალას, სახელიც თავდებია წინსვლის, გარეშე გამანადგურებელ ძალთა წინაშე სიმტკიცის და სამღთო გამარჯვებას. ამიტომაც ვინც გულწრფელად ემსახურება ჩვენს მომავალს, ის ვალდებულია მეტი მიუდგომლობით იხელმძღვანელოს მოპირდაპირეთა დაფასებაში. სანამ ასეთ მდგომარეობას არ მივაღწევთ, მანამდის შეუძლებელი იქნება ჩვენში დამყარდეს დინჯი, პირუთვნელი მსჯელობა საზოგადოებრივ საქმეებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღევანდელი გამგეობა საკმაოდ აღჭურვილია როგორც საზოგადოების სამსახურის სურვილით, აგრეთვე საკმარისი მიუდგომლობით, და თუ წინანდებურად განაგრძო მუშაობა, შესძლებს თვალსაჩინო კვალი დაამჩნიოს წერა კითხვის საზოგადოებას.

მომავალ კრებას ბევრი საკითხი აქვს გადასაწყვეტი. სხვათა შორის კრებაზე სურვილი გამოითქვა, რომ საზოგადოებას ყავდეს სკოლების განსაკუთრებული მეთვალყურე, მართალია ეს სურვი-

ლი მეტად სიმპატიურია, აუცილებელი საჭიროცაა ასეთი მეთვალყურე, მაგრამ თუ ჩვენ საზოგადოების დღევანდელ ქონებრივ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, დავრწმუნდებით, რომ სადღეისოთ ამ სურვილის განხორციელება არ შეგვიძლია. მით უმეტეს, რომ საზოგადოებას მეტად მცირედი სკოლები აქვს, ამასთანავე განყოფილების გახსნა საშვალებას აძლევს ადგილობრივ ძალებს თავიანთ სკოლებს თვითონ ყური უგდონ და რევიზიაც გაუწიონ.

კრების უმთავრესი საკითხი დღეს არის საკუთარი მუზეუმის აგება. თუ რამდენად საჭიროა ეს ეროვნული დაწესებულება, ვფიქრობთ, ყველასთვის გამორკვეულია. ეხლა კი მხოლოდ ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოვკიდოთ საქმეს ხელი და მივცეთ დასასრული.

*
* *

არის საკითხი, რომლის შესახებ საჭიროა მუდმივ ყვირილი, საჭიროა მუდმივი ყურადღება, ესაა სამშობლო ენის მდგომარეობა ჩვენ სასწავლებლებში. დიდი ხანია ბარბაროსულად იდევნება ყველაფერი, რასაც ქართული ელფერი ადევს. და ამ დევნაში საგრძნობელი ადგილი უჭირავთ თვით ქართველებს, რომელნიც ზოგი პირადი ინტერესებისათვის, ზოგიც უგუნურებით და შეუგნებლობით, თვითონ არღვევდენ და უთხრიდენ ძირს ათასი წლობით შექმნილს ჩვენ კულტურას, ხოლო ეს დევნა არამც თუ კლებულობს, თანდათან იზრდება. დაგვიბრიყვეს, საოცრად დაგვიბრიყვეს. და თუ გარეშე ძალებს ვერაფერს ვაკლებთ, შინაური ორგულნი და მტერნი მაინც სამარცხვინო ბოძზე უნდა გავაკრათ. გაზეთი „დროებას“ სწერენ იერეთიდან.

რეაქციის დაწყებისავე ადგილობრივმა სახალხო სკოლების დირექციამ თავის გაწვრთნილ და გამოცდილ მოხელეთა დაბარებით ძარკვედ მოჭიდა ხელი განმანთავისუფლებელ მოძრაობის დროს მოპოვებულ მცირე უფლების გაქარწყლებას — 1881 წლის გეგმით სამშობლო ენის სწავლების მოსპობას და თან და თან ჩუმად ძირის-თხრა დაუწყო თვით 1881 წლის გეგმასაც. ვერ ნახავთ ქუთაისის გუბერნიაში ვერც ერთ სამინისტრო სკოლას, რომ პირველ განყოფილებაშივე მასწავლებელნი, წინააღმდეგ 1881 წ. გეგმასა არ ასწავლიდნენ რუსულ ენას (წერა-კითხვას) და სამღვთო სჯულს რუსულად.

ყველაზე უფრო სავალალო და სამწუხარო ის არის, რომ ამგვარმა გამარუსებელმა პოლიტიკამ ქალაქის თვითმმართველობის სკოლაშიაც მოახერხა გაძრომა. ქუთაისის ერთ ერთ პირველ დაწყებით სკოლაში უკვე დაუწყიათ მდგომარე სასწავლო წლიდან რუსულ ენაზე სწავლება. გვიკვირს, რატომ თვით-მმართველობის სათანადო ორგანომ არ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება.

ნუ თუ იმდენი მოქალაქობრივი სითამამე ვერ გამოგვიჩენია, რომ იმ სკოლაში მაინც, რომელსაც თვით-მმართველობა ინახავს თავის ხარჯით დავიცვათ თვით უმაღლეს მთავრობის მიერ დაკანონებული გეგმა, თუ მეტის გაყვანა არ შეგვიძლიან?!

სამწუხარო მოვლენაა! მთელის პროგრესიულ რუსეთის ერობები ებრძოდნენ დირექციის პოლიტიკას და თავიანთ უფლებებს მედგრად იცავდნენ. ისინი თხრულობდნენ თვით კანონის შეცვლას და სკოლების სავსებით დასაკუთრებას, ხოლო ჩვენ ლაჩარ ქალაქის წარმომადგენლებს ისიც კი არ შესძლებიათ, რომ ნამესტნიკის მიერ მიღებული გეგმა დაიცვან და შემოპარულ პოლიტიკას წინააღმდეგობა გაუწიონ!..

სწორედ რომ სამწუხაროა ქალაქის თვითმმართველობის უყურადღებობა ასეთ დიდს ეროვნულ საქმეში, როგორც სკოლაა.

*
* *

არც ერთ ხალხისთვის ისეთი დიდი მნიშვნელობა არა აქვს წვრილ საკრედიტო დაწესებულებას, როგორც ჩვენთვის. მაგრამ რას იზამთ, როცა ყოველივე ასეთ ამხანაგობას დაარსებიდანვე მატლი გაუჩნდება და ღრღნის, სანამ სულ ბოლოს არ მოუღებს. არა ერთი საკრედიტო და სავაჭრო ამხანაგობა დაიღუპა ჩვენში ბოროტმოქმედების გამო. და ჩვენც ასე შევეჩვიეთ ამ მოვლენას, რომ დღეს იშვიათია ისეთი ადამიანი, რომ რაიმე სავაჭრო, სამრეწველო ან საკრედიტო ამხანაგობის არსებობა სწამდეს ჩვენში. ეს კი სავსებით ჩვენი ბრალია. კერძო ქურდი და ბოროტმომქმედი ისჯება, სატუსაღოში მიდის, ხოლო საზოგადო ქონების გამტაცები და გამფლანგავი არხეინად დასეირნობს. ეს კიდევ არაფერია, ის საზოგადოებრივ ასპარეზზეც მოქმედებს და ზიზღის და სიძულვილის მაგიერ პატივისცემას და ნდობას მოიმკის. სანამ ქურდს ქურდი არ დაერქმევა, სანამ საერთო ქონების გატაცება შესაძლებელი იქნება, მანამდის ჩვენში ვერც ერთი ამხანაგობა ვერ იხეირებს. გაზეთი „მომავალი“ მოგვითხრობს, თუ როგორ დაიღუპა შემნახველი გამსესხებელი საამხანაგო კასა სოფელ ნაგომარში ბევრს უკანასკნელი წვლილიც დაკარგვია, ხოლო გამტაცებელი და მისი დამქაშნი არხეინადა არიან და მათ წინააღმდეგ გალაშქრებას, მათ შესაფერ დასჯას არავინ ცდილობს. აუცილებლად საჭირო კია, რომ დამნაშავე ამ შემთხვევებში სასჯელს ვერ გაექცეს, რომ სხვები მაინც უფრო ფრთხილად იყვნენ და საზოგადოებრივ ქონების მითვისება ასე ადვილად ვერ შესძლონ

---

† მისს მარჯორი ვორდროპი.

მისს მარჯორი ვორდროპ.

ბუხარესტში წელს მიიცვალა მოულოდნელად საუკეთესო უცხოელი მეგობარი საქართველოსი და ქართველი ერისა მისს მარჯორი ვორდროპ, დაბადებული 1869 წელს ინგლისში.

მისს მარჯორი ვორდროპი განუყრელი მეგობარი იყო თავისის ძმის მისტერ ოლიკერ ვორდროპისა, რომელიც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა ქვეყნებში დიდი ბრიტანიის კონსულად იყო ხოლმე. და-ძმანიც სარგებლობდნენ შემთხვევითა და სწავლობდნენ იმ ხალხის ენასა და ზნე-ჩვეულებას, სადაც ცხოვრება უხდებოდათ.

მისს მარჯორი ვორდროპი დაინტერესა მისი ძმის, მისტერ ოლივერის მოგზაურობამ საქართველოში და მისმა წიგნმა, „საქართველოს სამეფო“-მ. მან ქართული ენის შესწავლაც დაიწყო და მალე მთელი თვისი ოჯახით ეწვია საქართველოს და ისე შეუყვარდა ჩვენი ქვეყანა, ისე გაიტაცა იგინი ჩვენი ქვეყნის მშვენიერებამ, ქართველთა წარსულმა და აწმყომ, რომ საუკუნოდ დაუმეგობრდენ საქართველოსა და უკანასკნელ დრომდე არ დავიწყებიათ არც მისი ყოველ-დღიური ჰირი-ვარამი, არც თავიანთი ქართველი მეგობრები,

მისტერ ოლივერ ვორდროპმა დასწერა მთელი წიგნი საქართველოზედ: „საქართველოს სამეფო“. მისს მარჯორი ვორდროპისთვის კი ქართული ლიტერატურა თითქმის მეორე სამშობლო ლიტერატურად შეიქმნა. იგი მშვენივრად სწერდა და კითხულობდა ქართულად; მან შეისწავლა ძველი და ახალი ლიტერატურა ქართველთა და მუდამ სცდილობდა ინგლისის საზოგადოებისათვის გაეცნო იგი. მისს მარჯორი ვორდროპმა ბევრი უცხო ენა იცოდა, მაგრამ ქართული ენა რაღაც განსაკუთრებულის სიმპატიით უყვარდა და ერთი სტრიქონიც არ გამოუტოვებია, ისე გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი ახალი მწერლობის განვითარებას, ჩვენს პრესასა და უმნიშვნელო ბროშურებსაც კი.

ერთხელ წ. კ. გ. ს. ების წიგნის მაღაზიაში შეველდავნახე განსვენებულისაგან დაკვეთილი წიგნები გამიკვირდა. განსვენებულს საინტერესო წიგნთა შორის ისეთი რაღაც წვრილმანები გამოეწერა, რომ ჩვენ, აქ მცხოვრებთაც კი არ წაგვიკითხავს და ყურადღებაც არ მიგვიქცევია. მისს მარჯორი ვორდროპს ქართული მწერლობა სავსებით აინტერესებდა,— ძველიცა და ახალიც, მნიშვნელოვანიც და წვრილმანიცა.

დიდი ღვაწლიც დასდო განსვენებულმა, რომ ქართული ლიტერატურა და კულტურა ინგლისელებისათვის გაეცნო. მან გამოსცა ინგლისურად 1) ცხოვრება წმინდა ნინოსი, 2) „განდეგილი“ ილია ჭავჭავაძისა, თარგმანი. 3) ქართული ხალხური ზღაპრები. 4) „სიბრძნე-სიცრუის წიგნი“ საბა-სულხან ორბელიანისა. მისს მარჯორი ვორდროპი ისეთი თაყვანის მცემელი იყო ჩვენის უკვდავის შოთა რუსთაველისა, რომ ზედ-მიწევნით შეისწავლა „ვეფხვის ტყაოსანი“, და არა ისე ზერელად, როგორც ბევრი უცხოელი სწავლობს ხოლმე. მან მოინდომა გადათარგმნა ინგლისურად „ვეფხვის ტყაოსნისა“, და ნამდვილად გადათარგმნა,— არა ისე, როგორც ბევრი უცხოელი სთარგმნიდა ხოლმე ყოვლად უნიჭოდა და უშნოდ, ისე უხეიროდ, რომ ქართველი მკითხველი თავის „ვეფხვის ტყაოსანს“ ველარც კი სცნობდა ხოლმე. მისი თარგმანი არა გავდა— „Былъ въ Аравіи Ростеванъ, покоритель многихъ странъ“-ს; მისს ვორდროპი სცდილობდა „ვეფხვის ტყაოსნის“ ენა, ორიგინალობა და განსაკუთრებული სული გადაეტანა ინგლისურ ენაზედ, მისი მიზანი „ვეფხვის ტყაოსნის“ სიტყვებისა და ფრაზების თარგმნა კი არ იყო, არამედ „ვეფხვის ტყაოსნის“ შექმნა ინგლისურად, როგორც განსვენებულმა ივანე მაჩაბელმა შექსპირი შექმნა ქართულად.

ათ წელიწადს მუშაობდა მისს ვორდროპი ამ დიდი საქმის აღსასრულებლად, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა უმუხთლა და შეაწყვეტინა ეს მისთვის სასიამოვნო შრომა. არ ვიცით, დაამთავრა თუ არა განსვენებულმა თვისი შრომა, მაგრამ უმეტესი ნაწილი რომ დამთავრებული და შემუშავებული ჰქონდა, ეს კი გვსმენია. შეიძლება ვიხილოთ როდისმე იგი დაბეჭდილი, და მაშინ ნათლად დავინახავთ, თუ რა ნიჭი გამოუჩენია მას „ვეფხვის ტყაოსნის“ ინგლისურად შექმნაში, რაიცა, განვიმეორებთ, დიდი და ძნელი საქმეა და უბრალო თარგმანს არ დაედრება.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, კეთილშობილო და დიდ-ბუნებოვანო ადამიანო; საუკუნოდ იყოს ხსენება შენი როგორც შენს განუყრელ ძმა-მეგობრის ოლიველრისათვის და სხვა მეგობართა შორის, ისე ჩვენ შორის, შენთვის უცხო მაგრამ ძვირფასს მეგობარ ქართველთა შორის. ღვაწლი შენი დიდი იყო ჩვენს წინაშე, და მადლობელი ქართველი ერიც ეცდება დაუიწყარ ჰყოს შენი სახელი, სანამ საქართველო იარსებებს,

В.

ასპიროზის დახვრეტა.

(დასასრული *)

—+-**-+—

იოთამმა მადიანად მიიწია სამფეხა სკამი და მიუჯდა სუფრას.

— მადლობა ღმერთს, დღეი მშვიდობიანთ კათვდა,—სთქვა მან,—ამადამ თუ მშვიდობით გამოთენდა, მზეხა, ხვალ ადარაფერის გულიზა ადარ დაგიჯერებ და არ გავათევ შინ დამეს. ფარნაზისს წავალ ან უშანგიესს.

— ტუიდაი გეშინია, იოთამ... მაინც მე ეოგელოვის მარტუაი რაფერ დავრჩე.

მზეხამ ამოიდო თეფშზე ქათამი და დუდგა წინ

— ახლა თავიდან დაიწყე? წუხელის არ დაიჭირეს სინოიი და მამუკაი. მარტუაი კი ხარ ცოდვა, მარა დოდოდიი ხომ ათეკს შენთან დამეს... ნწა, ძალიან გემრიელი ჩანს აი ქათამი, ძალიანიც მოშშიგდა... აბაშვეკუდგეთ... ღმერთო, დიდება შენ!..—იოთამმა გადაი, წერა ბირჯვარი და აიდო მჭადი.

უცებ მოელი შუშაბანდი გაჩადა. ცოდ-ქმარმა მოიხედა და თავზარი დაეცთ. იქაურობა სავსე იყო ჯარის კაცებით ჩაფრებით, წინ წამოდგა მადალი, ხმელი, წვერთხელა, ქერა ოფიცერი და რისხვით შეუტია იოთამს, რომელსაც დუკმა ხელიდან გავარდა და გაფითრებული ზე წამოიჯრა.

— რა ნიშნებს ჩვენებდი, შე ავაზაკო, გამოტელი ახლავე!..

— ნიშნებს? —წაიდუდუდა იოთამმა.

— დიდ, ნიშნებს, ბებერი ეაჩადი ეგელოფერში გამოტელა, და აი შენი ფარანიც...

იოთამმა მხოლოდ ახლა შეამჩნია ქრისტეფორე ფარნით ხელში. სწეალს თეორი ომა და წკერი სრულიად გასწეწოდა, ფეხებზე ძლივს იდგა და თვალებზე ტრემდები უჩრიალებდა. ერთ წუთს იოთამს თავის უბედურება დაავიწყდა და გული მოხუცის სიბრალულით ავსო.

— ფარანი ჩვენ ვათხუეთ ბერიკაცს. მაგი უბედური არაფერში არის დამნაშავე, და გუუშვი ბატონო,—მიმართა ეგელასთვის მოულოდნელად ოფიცერს მზეხამ.

— რაო, რას ამბობს?

თარკიმანმა გადუთარგმნა.

— ახ, каналья, собака! როგორ ბედავს... მე თქვენ გაჩვენებთ გაზოვალუფფლებას,—შეჭეფირა ოფიცერმა ბრახუნით მაზეხას იმის კადნიერებით გაბრაზებულმა ოფიცერმა.

— გაჩხრიკეთ სახლი ამ წუთში!—უბრძანა მან ჯარის კაცებს.

კაზაკები და ჯარის კაცები შეცვივდნენ ოთახში. შეიუვანეს იოთამი და მზეხაც. გადმოაქოთეს ეველაფერი: ამაღეს გამსტვენი ტახტი, ჩამოხსნეს და აბერტეკეს ხადიჩები, გადმოატრიალეს მაგიდები და სკამები. შემდეგ გავიდნენ მეორე ოთახში, ამობერტეკეს კომოდი და სკივრები, დოგინები. მერმე გავიდნენ მესამე ბატარა ოთახში-სადაც მზეხამ ბუხარში ისეთი გემრიელი გახშამი გააკეთა და, რომელსაც ახლა გარეთ ჯარის კაცები შეექცეოდნენ. მაგრამ ვერსად გარდა „ეარამნიანის“ მეთორმეტე კარისა, ვერა იპოვნეს რა. „ეარამნიანს“ დიდ ხანს უცქირა ოფიცერმა და შემდეგ უბრძანა თან წამოეღოთ.

— О,хитрая бестія, о, мерзавцы... Не вѣсить мало!—ეგიროდა გაბრაზებული ოფიცერი და გაბრაზებით უბრიალებდა თვალებს იოთამს და მზეხას, რომლებიც გაჭეავდათ თან ოთახებში.

მესამე ოთახიდან გავიდნენ გარეთ, უკანა ფარეთ ეივანზე.

— უცებ ოფიცერი შეჩერდა განცვიფრებული და შეჭეფირა იოთამს.

— აჭა, ახლა სადა წამიხვალ! ეს რა არის, შენ ავაზაკო?!.

იოთამმა მიიხედ-მოიხედა.

სუცხოვო ღამე იყო:

დურჯ ცის კამარაზე ლაღად მავალი, სხივ მფინარი გაბადრული მთვარე თავს დაჭხარდა ძირს დედამიწას.

ირგვლივ სიჩუმე იყო, თითქოს ეველაფერს და ეველას მეტის სიამით გაენაბათ სული და ადტანებით მიეჭეროთ თვალი ზეცისაკენ. სდუმდა კოჭწია სახლებით და ბადებით ამოქარგული მიდამო, სდუმდა ვეება ვერცხლის ბეველივით დაგლაკნილი დიდი მდინარე, რომელიც ანკარა შხეფებით თითქოს ეთამაშებოდა სხივებს; სდუმდა კედმა მთის კალთაზე შეჭუჭკეული სოფელი და სოფლის კოხტა ეკეკლესია თავის მოელვარე ჯვარით. მხოლოდ სოფელს დარაჯა თავს დასდგომოდა გაუალი ტეეთ შემოსილი მთა. უზარ-მაზარი ხეები ნაზად არხეკვნენ კენწეროებს და ძირს სოფლებს, მინდორ-ველებს უზომო სიეკვარულს და ნეტარებას დასხურწულებდნენ. და ამ ხეებში მთის გადმოდან როგორც ტრფიალი, ზორცხეის სიტიდით, ნელ-ნელა მიეპარებოდა დადი მთვარისაკენ მშვენიერი ვარსკვლავი ასპიროზ.

იოთამმა მიიხედ-მოიხედა, შეხედა ცოდს და დაიბნა. ჩაჭკიდა თავი. ვერ მიხვდა, რა უნდოდა ამ ოფიცერს. ის საეჭვოს ვერას ხედავდა.

— ააა, ძალდო,—შეუტია ოფიცერმა და ჯარს რადგა გასძახა. იოთამმა დაინახა, რომ სამი ასეული ჯვ-

*) იხ. საქართველოს მოამბე, № 7.

ითა ჯარის კაცი იარადის ჩხარა ჩხურით გამოიჭიმა ავი-ნის გასწრივ ეზოში.

— შენ გეკითხები, ის რა არის, რა ნიშანია!..— დაიგრიალა მრისხანეთ ავიცარმა და მიუახლოდა იოთამს, — თქვი ახლავე, შენ უბედურო...

იოთამმა ახლა ნათლად გაარკვია, რომ ავიცერი ვარსკვლავისკენ იშვერდა ხელს. მაგრამ ვერ გიგო, რა მიზნით კითხულობდა: დარწმუნებული იყო, რომ აქ რადაც ეშმაკობაა, რომ მიზეზი უშოვნონ და ჩამოახრ-ჩონ. მუხლები აუცახცახდა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაა-სხა. შეშინებული თვალები მიაპყრო ცოლს, რომელიც არც მკვდარი, არც ცოცხალი იდგა სრულიად გაოგორე-ბული.

— აა, შეგეშინა....აა, შეგიტყვეს ეშმაკობა... მაშ სულ ერთია, სთქვი რა არის, ოორეშ...

— ეს?..— წაიდუდღუდა იოთამმა.

— დიად, ეს, ეს.

— ეს ვარსკვლავია... ბლანეტა ასპირიზ...— წაი-ლუდღუდა ენა ბორძიკით იოთამმა.

— რაო? ბლანეტა ასპირიზიო... ვის ატეუებ შენ... ავაზაკო...

— მე არ გატეუებ, ბატონო. ჩვენმა სოფლის მას-წავლებელმა თითონ სთქვა. ნამდვილად ასპირიზია. იო-თამს ცოტა არ იეოსრადაც იმედი მიეცა და მოინდომა და-ერწმუნებინა ავიცერი ასპირიზის სინამდვილეში. იმიტომ მოიეგანა მოწამეთ მასწავლებელი, როგორც ნასწავლი კაცი.

ვარსკვლავი ცოტათი მარცხნიდან მარჯვნით დ ქვევიდან ზევით აიწია, თითქოს ვიღაცამ განგებ გამო-უცვალა მას ადგილი, რომ უფრო მკაფიოდ გაეშუქებინა.

— აგა, ასე? მაშ ვნახოთ, რა ნაირი ასპირიზია. ვაჩვენებთ სეირს, რომ დავხვრეტავთ ახლავე. შენ გგონია არ ვიცით, რომ რევოლიუციონერების ნიშნის ფარანია!..

ავიცერი მიადგა მოჯირს და იოთამისათვის ერ-თობ გაუგებარი და გასაშტერებელი სიტყვები დაიყვირა. და დაყვირების შემდეგ კიდევ უფრო გაუგებარი და გა-საშტერებელი ამბავი მოხდა.

ფეხებ ჯარმა თოფები მოიმარჯვა და გაისმა გრიალი ვარსკვლავისაკენ. კიდევ და კიდევ. სამჯერ დაიგრიალა სამასი კაცის თოფმა.

ერთ წუთს, თითქოს ცა და დედამიწა შეირყა; ოდან ზანზარი დაიწყო. მზეხამ შეჭეიელა და ჩაიკეცა გულ-შეწუხებული იოთამის ფეხებთან. იოთამ ეცა ოთ-ხისაკენ წყლის გამოსატანად, მაგრამ აქეთ-იქიდან მო-დერებულმა შტიკებმა გაუჩერეს თავის ადგილას.

ერთ წუთს თოფის წამლის სუნმა და კვამლმა მო-ცვა მიდამო და თვალს მოეფარა მთა, ტეეც და სოფელიც, მაგრამ ფეხებ, თითქოს განრისხდაო, ტეე ანმაურდა, დაჭქროლა ნიავმა და გაჭფანტა შავი კვამლი.

ასპირიზ ისევ ისე ტურფა და მოცინარი ნელ-ნელა მოიწევდა ლაჟვარდისკენ, რომელიც ისევ ისე მხიარულად მისცურავდა ცის კამარაზე და სიყვარულის შუქს აფრქვევდა მიუჩენელ სოფელს, რომელიც ისევ ისე სდუმდა, თითქოს მთვარესავით შორს იყო და არ ესმოდა არც თოფების გრიალი და არც იოთამის გასა-ჭირი.

— ახ, წეეული, ეშმაკები, თოფიც კი ვერაფერს აკლებს ამ...— წამოჭყარა სიბრაზით დორბლები ავი-ცერმა, როცა ნიშანის „ფარანი“ ისევ ისე უვნებელი დაინახა

— ახლავე მოიგვარეთ იმის ამნოები! — მიუბრუნდა ის გვერდით მდგომ უმცროსს ავიცერს. ახლავე დაა-ტუსაღეთ მასწავლებელიც, — უბრძანა მეორეს.

— მესმის, თქვენო ადმატებულებავ! — შესძახეს ავიცრებმა აქეთ-იქიდან. გაუკეთეს „ჩესტი“ და მოტრიალდნენ წასასვლელად.

„ღმერთო, ნუ გადამრევ, — გაიფიქრა იოთამმა, — ასპირიზი დახვრიტეს? ვის ატუსაღებენ? ვარსკვლავის ამნოებს?.. ნეტა სიზმარში, ვართ თუ ცხადში?..“ — უცებ მას მოეჩვენა, რომ ეველაფერი ეს სიზმარია და გაცხარებით იწყო თვალების ფშვნეტა.

— ეი, შენ, გასწი! — მოესმა ამ დროს ხმა და გვერდში „სტრაჟნიკის“ მაგარი მუჯლუგუნი მოხვდა. იოთამს გვერდით უდგა აცახცახებული ქრისტეფორე.

— გასწით! — შეუბღვირა ერთხელ კიდევ სტრაჟ-ნიკმა და ორივენი გაიგდო წინ.

ძირს იმათ კარს შემოერტყნენ ცხენოსანი სტრაჟ-ნიკები და კაზაკები და გაიგდეს იქითკენ, საითკენაც გა-ხედვისაც კი ეშინოდა იოთამს.

ჯარი სიმდერით მისდევდა მათ სამსი ნაომარი ჯარის კაცი.

როცა ჯარი წავიდა, მეზობელი ქალი ჩუმათ შემო-იპარა და მზეხა გონებაზე მოიყვანა.

ოჯახი დაცარიელებული ადმოჩნდა: არც ხადიჩები, არც ტანისამოსი, არც ოქროს ნივთები, რომლითაც ისე უყვარდა მორთვა მოკაზმვა მზეხას, ადარ იყო თავის ად-გილას. მაგრამ მზეხას არც კი მიუქცევია ამისთვის უუ-რადღება. ერთად ერთი საზრუნავი და სადარდელი იმის-თვის იყო იოთამი, რომლის განთავისუფლებისათვის უს-დოდა სიცოცხლეც კი შეეწირა, თუ საჭირო იქნებოდა. მაგრამ ვერა უშველა რა. იოთამს დიდ პოლიტიკურ დამ-ნაშავედ სთვლიდნენ და მკაცრად ეპყრობოდნენ.

სოფელიც ემდუროდა იოთამს და ჯაშუშათ სთვლი-და, რადგანაც იმის სიტყვების შემდეგ მასწავლებელი დაატუსაღეს.

ნინო ნაკაშიძე.

მოკლე მიმოხილვა ქართულ მწერლობისა უძველეს დროიდგან.

მოამზადების ხანა.

V.

წმ. გიორგი მთაწმინდელი. გიორგი იყო ბიძაშვილი ექვთიმესი. დაიბადა სამცხეში, 1014 წ. [1]) დედ მამამ გიორგი შვიდი წლისა წაიყვანეს, დაბირებისა მებრ, ტაძრისის ქალთა მონასტერში, სადაც სცხოვრობდა მისი და. გიორგი თურმე მშვენიერის სახის და ტანისა იყო. თვისი ჯგუფ-გონებით, გამჭრიახობით, მიხვედრილობით და გონების სიმახვილით გიორგის ეველა კანტვიფრებაში მოჭყვადა. რამოდენამე ხნის შემდეგ გიორგის ბიძებმა, რომლებიც ხახულის მონასტერში მოდგაწეობდნენ, დაიბარეს ის თავიანთ მონასტერში. აქ გიორგი გულმოდგინეთ შეუდგა სადმრთო წერილის, გალობის, ბერძნული ენის, ფილოსოფიის, რიტორიკის და საეკლესიო წეს-რიგის შესწავლას. გარდა ამისა, გიორგის არ დაუტოვებია არც ერთი წიგნი მონასტერში წაუკითხავი და შეუსწავლელი. [2]) ფერიზმა და მისმა ცოლმა (ფერიზი იყო ვასილ ბაგრატიტის სიძე—დის ქმარი) იშვილეს გიორგი. საქმე იმაშია, რომ წმ. გიორგის ბიძა—„გიორგი მწერალი“ ფერიზის და მისი ცოლის მოძღვარი იყო. მან გაანცო ფერიზს და მის ცოლს ძმისწული. 1021 წ. ბიძამ და დედობილმ გიორგი წაიყვანეს კონსტანტინეპოლში. აქ გიორგიმ თორმეტი წლის განმავლობაში დახელოვნებულ და სწავლულ მესწავლეებების ხელმძღვანელობის ქვეშ საფუძველიანათ შეისწავლა მთელი თანამედროვე მეცნიერება დ ბერძნული ენა...

კონსტანტინეპოლიდგან გიორგი დაბრუნდა ისევ ხახულში. თარტუმის კედელ-ხეთქილში, სოფელ ხახულში, მდინარე ისპირის მახლობლად, დავით კურაპალატმა მე-X საუკ. აშენა მონასტერი ღვთის მშობლის სახელობაზე. მონასტერს დარქვა სახელად ხახულის მონასტერი ეს მონასტერი გახდა მე-X—XII ს. ს. უმთავრეს ცენტრად სარწმუნოებრივ და სამეცნიერო განათლებისა მთელს სამცხეს მხარეში. [3]) 1039 წ. როდესაც გიორგი გახდა 25 წ., მან მიიღო ბერობა. იმავე წელს გიორგი გაემგზავრა წმ. ადგილთა თაყვანსაცემად. გზა-და-გზა მან ინახულა ქართული მონასტრები ანტიოქიაში და შავ ზღვაზე; წმინდა რომანოზის მონასტერში დარჩა და, გიორგი დაუუდებულის ხელმძღვანელობის ქვეშ, იღვწოდა სამ წელიწადს: [4]) როდესაც გიორგი მთაწმინდელი შეიქმნა ოცდა ათი წლისა, გიორგი დაუუდებულმა მღვდელ-მონაზვნათ აკურთხა. 1044 წ. გიორგი პირველად გაემგზავრა იერუსალიმში. რამოდენიმე ხნის შემდეგ გიორგი კვლავ დაბრუნდა გიორგი დაუუდებულთან და უნდოდა სამუდამოდ მასთან ცხოვრება და მოღვაწეობა. მაგრამ მოხუცმა მას სთხოვა წასულიყო ათონში და დაემთავრებინა ის დიდი საქმე, რომელიც წმ. ექვთიმემ დაიწყო და მთლად ვერ დამთავრა. გიორგი მართლაც წავიდა ათონში და იქ შვიდი წლის განმავლობაში იღვწოდა და სთარგმნიდა საეკლესიო და სხვა საასულიერო შინაარსის წიგნებს. თავდა-პირველად მან სრულ'ად გადასთარგმნა ხვინ:ქსარი, (ექვთიმეს თარგმანი შემოკლებული იყო), მერე—ოთხავე სახარება, კურთხევანი, ეველა ეპისტოლე (წარგზავნა) პავლე მოციქულისა (იხ. ხახანაშვილი „Очерки вып. II გვ. 74). [5])“

1051 წ. გიორგი აირჩიეს ივერიის მონასტრის წინამძღვრად. მაგრამ მან მალე დაანება თავი წინამძღვრობას და გაემგზავრა შავ-მთაში. აქ ის შეხვდა მეფე ბაგრატ IV დედას—მარიამს. ედიოფალს უნდოდა გამგზავრებულიყო იერუსალიმში, მაგრამ გიორგიმ არ ურჩია, რადგანაც ამ დროს სირიაში არეულობა იყო სელჯუკების შემოსევის გამო. მაშინ მარიამმა თითონ გიორგის მიანდო შეწირულებანი მიეტანა იერუსალიმის მონასტრებში (იხ. „ქარ. ცხ.“, გვ. 230.)

იერუსალიმიდგან გიორგი დაბრუნდა ანტიოქიაში და ცხოვრობდა ხან ამ ქალაქში, ხან წმ. სვიმონის მონასტერში, ხან კიდევ კალინის ქართველთა მონასტერში (იხ. ივ. სოკოლოვი: „Сост. мон...“)

ანტიოქიაში ყოფნის დროს გიორგიმ ინახულა ეველა მონასტერი, რომლებიც გაფანტულ იყვნენ ლიკანის მთებზე. ამ მონასტრებში ის სთარგმნიდა სადმრთო საეკლესიო წიგნებს ბერძნულიდგან ქართულად (იხ. „Аѳонскій поперикъ“, ნაწ. I, გვ. 420,429.)

ანტიოქიაში წმ. გიორგიმ მიიღო მეფე ბაგრატის წერილი, რომელშიაც სთხოვდა დაბრუნებულიყო საქართველოში. მეფის მემკვიდრე გიორგი, ქვრივი დედოფალი მარიამი, პატრიარქი და ეპისკოპოზები—სულით და გულით ელოდნენ გიორგის, რათა მიელოთ ამ შესანიშნავ მამისაგან ლოცვა-კურთხევა და დარიგება. თავდაპირველად გიორგი უოყმანობდა: ენანებოდა მიეტოვებინა მეუღლისა სულის ნაგთ-საუდარი-მონასტერი და მარტოობა. ბოლოს მან გადასწყვიტა გამგზავრებულიყო. დიდის პატივით მიიღო მეფემ გიორგი ქ. ქუთაისში. მოსვლისთანავე მეფემ მისცა გიორგის შესანიშნავი დაგრა ნედზისი (ქართლში); მერე იქიდგან გადაიყვანა შატბერში (კლარჯეთში). ბაგრატს სურდა გიორგი ყოფილიყო მახლობლად და ხშირ-ხშირი მისვლა-მოსვლა ჰქონოდა მასთან (იხ. ხახანაშვილი „Очерки... вып. II. გვ. 79—80). სამშობლოში გიორგი შეუდგა თანამემამულეების ზნე-ჩვეულების გასწორებას; შეიტანა სასარგებლო ცვლილებანი ეპისკოპოსების არჩევა-ხელდასმის საქმეში; დაარსა სასწავლებელი, სადაც გამოცდილნი და სადმრთო წერილში დახელოვნებულნი პირნი ასწავლიდნენ „შეგირდებს“ სადმრთო სჯულს, გა-

---

[1]) თ. ჟორდანიის აზრით კი 1009—10 წლებში.

[2]) იხ, პრ. ხახანაშვილის „Очерки...“ вып. II, გვ. 73

[3]) იხ. ალ. ციგარელი. „Пал. сбор.“ 1888 г., вып. IV, გვ. 178 —179.

[4]) გიორგი შესანიშნავი ქართველი იყო. იხ, ანტონი I, „წყ—სიტ.“, §§ 722.

ლობას და ზოგიერთ სხვა საგნებს. ასე ნაუოფიერად და დიუდალვად იდვწოდა გიორგი I შშობდა ეკკლესიის და თანამემამულეთა სასარგებლოდ!

მაგრამ მას მაინც სურდა უკანასკნელი თავისი დღენი დაულია ათონზე. ოთხმოცი თვისი შეეირდებოთ ის ჩაჯდა გემზე და გაემგზავრა კონსტანტინოპოლში, სადაც უცერ-ად გარდაიცვალა. ნაშთი წმინდანისა მოწაფეებმა და პატიმცემლებმა მაშინვე გემით გადასვენეს ათონზე. *)

—

წმ. გიორგი მოაწმინდელმა თვისი დაუდალავის შრომით დიდად შეეწო ხელი მწიგნობრობას საქართველოში. მან თითონ გადასთარგმნა ოცდა ხუთამდე სადმრთო და საეკლესიო წიგნი და სხვებსაც ამხნევებდა და აქეზებდა საღმერთო-ლიტერატურო საბოდვაწერად. ჩვენამდის მოაღწია რამოდენიმე ხელნაწერმა, რომლებიც არიან გადწერილნი კალიოსის ქართველთა მონასტერში. ერთი მათგანი, ოქრო ინიციალებით, დაწერილი ოთხთავი (четвероевангеліе), ეკეთვნის გიორგის კალ. მს. მსგვ ეკეთვნის სკინქსარი, რომელიც დაცულია ჯვრის მონასტერში (იხ. ბრ. ცაგარელის „Каталогъ рук. крест. мон. прим. I, № 25)

ჩვენ აქ საჭიროდ არ ვსთვლით თითო-თითოდ ჩამოთვალოთ გიორგის ნათარგმნი წიგნები. მსურველს შეუძლიან გაეცნოს მათ თ. ყორდანიის „ქრონიკებში“ და ხახანაშვილის „Очерки-“ში. (იხ. თ. ყორდანიის „ქრონიკები“, ნ. I, გვ. 189. 200, 208, 211' 212, 224, 230, 232, 237; ნ. II, გვ. 39; ბრ ხახანაშვილის „Очерки..“ вып. II, გვ. 77—79).

ჩვენ ექვითიმე და გიორგი მოაწმინდელის, როგორც მთარგმნელების, მოღვაწეობას იმისთვის კი არ უსვამთ ხაზს, რომ გვინდა იმის თქმა, ვითომც წინათ არ ჰქონოდეთ ქართველებს სრული ქართული ნათარგმნი სადმრთო და საეკლესიო წიგნებისა. ნამდვილათ ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკ. მირდატ V მეუფის, დედოფალ სანდუხტისათვის, გადასთარგმნეს სახარება (იხ. „ქარ. ცხ., ნ. I, გვ. 110; სბინანის „Исторія груз. церкви до VI в.“, გვ. 65.) ბერძენ-თვე ამ ნიგოების შორის, რომელნიც მეფე ფარსმა VI (542—557 წ. წ.) შესწორა შიო მღვიმის მონასტერს, მოხსენებულია სახარება, რომელიც მდადრულად შემკობილ იყო მეფე ვახტანგ გორგასლანის მიერ (446—499 (იხ. შიომღვიმის მონასტრის მამათა ცხოვრება. გვ. 40) რაგორც მოწმობს მისუ ხორენელი, მესროპმა, ქართველი ჯაკეს დახმარებით, გადასთარგმნა საქართველოს ტახტის მემკვიდრის სანდუხტისათვის სახარება, სამოციქულო და რამოდენიმე საეკლესიო წიგნი (იხ. მოსე ხორენელის „Исторія Арменіи кн. III гл. 55 и 60; სბინანის „Исторія груз. цер..“).

ძველი პალესტინის კონდაკი და სინას დაკითნი, რომლებმაც ჩვენამდის მოაღწიეს, ეკეთვნიან V—VI საუკ. (იხ. ბრ. ცაგარელი, „ივერია“ 1884 წ. №№ V—VI, გვ. 50—51) კანონის ოთხთავი, რაგორც მოწმობს დ. ბაქრაძე, გადაწერილია 662 წ. (იხ. ბაქრაძე „საქ. ისტ.“, გვ. 171; „Труды V ар. съѣзда“, стр. 215 (древній варіонтъ груз. четвероевангелія).

ი. ვართაგავა.

სიმართლის გზის შეკვრა.

(წერილი რედაქციისადმი)

„დროების“ რედაქციამ ეოველი გზა შეჭკრა, რომლის საშუალებითაც კი შეეძლო მიეღწია მკითხველისადმი სიმართლეს იმ ბოდეშაკის შესახებ, რომელიც მან ამბიტეხა მან ჩემი ესსეისა მისს მეორე წერილზე არამც თუ არ დ ბეჭდა, არაშედ დაუმ და თავის მკითხველებს მისი დაბეჭდვა „საქართველოს მოამბეში“: სრულიად არ მოიეგონა ამ ჟურნალის წერილების სათაურები მხოლოდ იმ ნაშრომისა, რომელშიაც დაბეჭდილი იყო ჩემი წერილი, მაშინ, როდესაც ეოველი სხვა ნაშრომის შინაარსი აღნიშნული ჰქონდა ხოლმე წინადაც და ახლაც აქვს. სამაგიეროდ, ერთი კვირის შემდეგ თავის მკითხველებს წარუდგინა დამახინჯებული ნაოდეოები ჩემის წერილისა და წინანდელს ცილის წამებას ახალი ცილის წამება დაუმატა. როცა ეველა ამის გამო სამედიატორო სამართალი მოვითხოვე, უარს დადგ. მე იძულებული გავხდი დაშეწერა და გამეგზავნა ახალი წერილი. „მიალეგინეთ ამ სტრიქონებს თქვენი მკითხველებისადმი, და დეე მათ პირუთვნელი სამედიატორო მსჯავრი დასდონ ჩვენი ბოდეშაკის შესაშებ მეთქი. თუ ამ უკანასკნელს წერილსაც გზას შეუკრავთ, ამითი თქვენ მიუმატებთ ახალს უკიდურესს უსამართლობას წინანდელს რიგს უსამართლობისასა მეთქი. მაინც კიდევ ჩაიდინეს უკადრისობა და, ოთხბირის შემდეგ, წერილი არ დაბეჭდეს, უკანვე დამიბრუნეს.—

ამ ჟამად მე მწადიან მკითხველი სასაგადოების ეურადღება შეეაჩერო მხოლოდ ერთს ახალს ცილის წამებაზე, რომელიც „დროებამ“ გამოატეეერინა თავის მეოთხე წერილში ჩემს წინააღმდეგ: „გოგებაშვილი რეეოლიუციის დროს იცავდა სოციალიზმსა, ახლა კი ბოეჩიტელთან ერთად სდეგნის სოციალისტებსაო.“ ეს ცილის წამება ბევრად აღემატება წინანდელს, ვითომც მე რუსულს ენაზე არ მომეთხოეოს ქართული დიტერატურის, გეოგრაფიის და ქართველის ისტორიის სწავლება საშუალო სასწავლებლებში...

ჯერ ერთი, ბ-ნი ბობეჩიტელი სდეგნის არა სოციალიზმსა არამედ ნაციონალიზმსა, იმდენად, რომ ნებას არ აძლევს, სამინისტროსთან ერთად, ოთხი—ხუთი წლის ქართველს ბავშვებს მათს დედაენაზე ესაუბრონ სიბავშო ბაღებში. მეორე, გოგებაშვილი არას დროს არ ეოფილა ვისიმე მდეგნელი, მით უმეტეს სოციალისტებისა (და ეს მათ უკედ იციან, ვიდრე „დროების“ ფსევდოსოციალისტებმა), არამედ ეოფილა ეოველთვის და

იქნება მოსარჩლე და ქომაგი დეკნიდოთ, და მებრძოლი იმათთან, ვინც აწარმოებდა ამ დეკნას, მიუხედავად იმისა, გარეულები იყვნენ, თუ შინაურები. ესენიც სამაკიერის უხდიდნენ გოგებაშვილს იმითი, რომ სისტემატიურად სდეკნიდნენ. სდეკნიდა მას მთავრობა, რომელმაც თორმეტის წლის სამსახურის შემდეგ იგი დაითხოვა ადგილიდან **მესამე მუხლის ძალით** და ისიც სერიოზული ავადმყოფობის დროსა სდეკნიდნენ და სდეკნიან შავ-რაზმელები, გარეულები და შინაურები, რომელნიც წერილობითი „დრონსებითაც“ კი თხოულობდნენ მის გადასახდებასა საქართველოდან, და ერთი ბერი ამ კვარის დანოსისა ხელში უგდია ამას წინად ბეტერბურგში ეოფნის დროსა და ოფიციალში ჩამოუტანია ყველასაგან ბატიგებულს და გამბედავ'ს მოძღვარს ნავთლუხისასა.

ფრაზა: „ბოზეჩიტელთან ერთად სდეკნისო“, გულუბრეალო და გამოუცდელს მკითხველს ალბა ქრებინებს: გოგებაშვილი ესოუოდ მახლობელი ბერია „ბოზეჩიტელისო.“ ნამდვილად კი მე იგი ოვალითაც არ მინახავს არც ერთხელ და ბერად ნაცნობობას სრულიად მოკლებული ვარ. არც წერილობით მიმიმართავს რაიმე შუამდგომლობით არას დროს. და არც ვსაწერობდი... ერთად მოქმედებისათვის საწერო საერთო მიმართულება. ამ მხრივაც ჩვენს შორის უფსკრული არსებობს. ეოველი ბიუროკრატი, მეტადრე სამოსწავლო სფერისა, ცენტრალისტია, მე კი, როგორც ჩვენს ლიტერატურაში ჩახედულს მკითხველს მოეხსენება, დეცენტრალისტი და ავტონომისტი ვიყავ ეოველთვის და ახლაც ასეთი ვარ. ბიუროკრატი სდეკნის სხვა ხალხების ნაციონალიზმსა და კარუსების ბოლიტიკას ადგია; მე კი ეოველთვის დამცველი ვიყავ სრულის ნაციონალიზმისა, მქადაგებელი ერის თავისებურობის აღორძინებისა, თავისუფლად აყვავებისა. ეოველი ბიუროკრატი სცდილობს ძირს დასცეს ის დალაბაძი ერეოვნებისა, რომელსაც დედა-ენა ჰქვიან; მთავარი ჩემი მოძღვრების მიზანი იყო დაცვა, განმტკიცება და გაძლიერება ამ მთავარის ერეოვნულის საუნჯისა, რასაც მე ვექომაგებოდი სიტყვითაც და საქმითაც, ერთს ენაზედაც და მეორეზედაც. ყველა ბოზეჩიტელი ბოლიტიკანია, მე კი მტკიცედ ვიდეგი და ვდგევარ ბედაგოგიურს ნიადაგზე. ერთი სიტყვით, ბიუროკრატიის გზა და ჩემი გზა ეწინააღმდეგებოდნენ ერთმანეთს ეოველს მეხლში, რის გამოც მე ვეწეოდი და ახლაც ვეწევი სისტემატიურს ოპოზიციასა. სწორედ ამ ოპოზიციის ნაყოფი გახლავთ ის, რომ თფილისის საათაბიროს სკოლების ახალი ბროგრამის ბროექტიდან, რომელიც დამტკიცებულია ბოზეჩიტელისაგან, კამოტოგებულია ჩემი რუსული სახელმძღვანელოცა და ქართული სახელმძღვანელოებიცა. ამ სახით ბ-ნი „ბოზეჩიტელი“ და მე ბრინციპიალური მოწინააღმდეგენი ვართ და ერთად მოქმედება ჩვენი ეოველად შეუძლებელია, და ვინც ამას იტეგის, უკიდურესს ტიალის წაშებას ჩაიდენს.

„დროება“ სტდილობს მკითხველი დაარწმუნოს, რომ ხუთის წლის წინად მე სოციალიზმის მომხრე ვიყავი, ახლა კი წინააღმდეგი ვარ მისი. უკანასკნელი ახრი ტეგიალია, ბირველი კი მართალი. განმთავისუფლებელი მოძრაობის დროს ბევრი ჩვენებური სოციალისტი უკიდურესად გატაცებული იყო ინტერნაციონალიზმით და იმდენათ უარეყოფდა ნაციონალურს ნიადაგსა, რომ თავისი რეა—ცხრა წლის მოსწავლე შვილისაგან ითხოვდა, მოკითხვის ბარათები მწერე რუსულს ეარგონზე და არა დედა-ენაზეო. მე ადვიმადლე ხმა ასეთი უკუმართობის წინააღმდეგ, რადგანაც მტკიცედ ვიდეგი ამ ახრზე, რომ სოციალიზმი, თავის თავად ჩინებული ბრობლემა, მოწყვეტილი ნაციონალიზმისაგან, ერეოვნობისაგან, დიდს ვნებას მიაყენებს კეთილობასა, ერების გადაგვარებას შეუწყობს ხელსა, ინდივიდუმების თავისებურობას დაბლა დასწევს, შეასუსტებს, და კეთილობასა დაამგზავსებს ერთ-ფერს და ერთ-გვარს უშველებელს ნახირსა, რომელშიც საერთო კუმძიერობაზე დამყარდება საერთო ერთ ფერი და უხალისო ცხოვრება, უფერული არსებობა, საოველთაო უსახურობა, გულსაკლავი ბესსიმიზმი. დიდი ხანია ბრძოლად არის ნათქვამი: „ერთფერობა სიკვდილია, მრავალფერობა სიცოცხლეო“. ერეოვნული საეოველთაო სოციალიზმი კი კეთილობასა დაამგზავსებს გრანდიოზულს ბედნიერს ხორცს, რომელის ეოველი წევრი, ეოველი ერი თავისებური ხმით გაამდიდრებს და დაამშვენებს საზოგადო ჭარმონიასა.

ამ შეხედულობის მიხედვით მე წინადაც მომდევარი ვიყავ ნაციონალურის სოციალიზმისა და ახლაც ვარ. და თუ სოციალიზმზე მე ახლა ადარფერს ვამბობ, ეს იმიტომ, რომ ახლანდელს მომენტსა და კარგმოებაში ეს წელის ნაყვაზე უფრო უარესად მეაჩნია. სოციალიზმის საძირკველი თვით დაწინაურებულს ქვეყნებში მხოლოდ ახლა იერება, და იქნება არა ერთმა საუკუნემ განვლოს, ვიდრე ამ საძირკველზე აშენდებოდეს და დამთავრდებოდეს გრანდიოზული სოციალისტური შენობა. ნუ დავიწყებთ, რომ ორი ათასი წლის წინად მაცხოვარი და მისი მოწაფენი ოცნებობდნენ სოციალიზმის დამყარებაზე მორწმუნეთა შორის ახლო მომავალში; მაგრამ დღემდის ეს ოცნება არ განხორციელებულა არც ერთს ქრისტიანულს ქვეყანაში.

ამის გამო, თუ ჩვენ ქართველი ერი ვეკვეებენთ სოციალიზმის ოცნებით და იმედით, და მთელი მისი ეურადღება და ძალა არ დავამარეთ ეოველდღიურ ბრძოლაზე არსებობისათვის, და მეტადრე ტერიტორიის შერჩენაზე, ქართველთა სახსენებელიც შეიძლება აღარ იყოს მაშინ, როდესაც სოციალიზმი გაქრობა ახავს შავს ზღვასა და თავის დროშას ასაფრიალებს ამიერ კავკასიაში. ესეგვ ზრი გამოსთქვა ამ დღეებში ამისთანა დრშად მორწმუნე სოციალისტმა, როგორიც ბრძანდება ბ-ნი ივანე გომართელი.

სდუმს სრულიად სოციალიზმზე კარგა ხანია თვით „დროებაც“ და თუ გაახსენებს ხოლმე ისიც გაკვრით, ბოლშევიკაში ფაქტიურად, საქმით იგი არის უბრალო, ზომიერი ბროგრესისტი, და სხვა არაფერი.

სადმენ მიდის ზომიერება „დროებისა“, დღესვით სჩანს იქიდგან, რომ იგი ბევრს სასაცილო შეხედულებას

ბვერდს უქცევს. აი ამისი დამამტკიცებელი ფაქტები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ამ შემოდგომაზე. „დროებამ“ კრინტი ვერ დასძრა ინსპექტორა მაწყვარიანის უკუღმართობის წინააღმდეგ. მან ვერ გაბედა ტოტოდენი პროტესტი მაინც გამოეცხადებინა მეორე გიმნაზიის წინააღმდეგ ქართული ენის თითქმის გაუქმების გამო. მან მხოლოდ ლიტონი სიტყვით და ცივად აღნიშნა ახალს ამებში ქართული ენის გამორიცხვა საშტატო საგნებიდან სოსტატო ინსტიტუტში, მან კენტი სიტყვითაც არ დაგმო ერთი გარუსებული ქართველი ქალის უსაძაგლესი დანაში: „მთელი საქართველო“, სწერდა ეს ქალბატონი ერთს გაკვლენიანს სატახტო გაზეთში, „მიისწრაფვისო გარუსებისაკენ; მაგრამ ამას ხელს უშლიან ქართველი სეპარატისტებიო“. უფრო მეტი ჩაიდინა „დროებამ“. როცა ამ გზა დაბნეულმა არსებამ თავისი პატრა, უშინაარსო მოთხრობა გამოუგზავნა მას, რედაქტიმ იგი მადლობით მიიღო, გადათარგმნა ქართულად და გამოწშა თავისს გაზეთში, და სხვანი და სხვანი.

სამაგიერად, ნამდვილი ოთოთანთ ქორის სიმამცე გამოაჩინა ჩემ წინააღმდეგ, ისარგებლა რა ჩემი უიარაღობით, საგუთარი გამოცემის უქონლობით. როცა მე დავგმე მეორე გიმნაზიაში ქართული ენის უკიდურესად შეეიწროება და გათახსირება, ნაცვლად იმისა, რომ ამის წინააღმდეგ გაელაშქრა, „დროებამ“ მე უკანიდან დამაკარა ეუმბარები. და ამითი შავრაზმელებს შარბათი დაალევინა. და საქმესაც ავნო, როგორც ეს შეეტყვია თვით „დროებისავე“ რეპორტიორს ქართული ენის მასწავლებლებისგან. და ამისთ ნა რედაქციაჩემულობს სამაგალითო მამული შვილობას, უებრო რადიკალობას, სოციალისტობასა.

ხალხის განათლებას, სახალხო სკოლას ჩვენს ქვეყანაში ამ ყამად აგია ისეთი შ ვი დღე, რომელსაც ძველი რეჟიმის ფარფაშობის დროსაც კი არ მოგსწრებიართ. ამისთანა მომენტში საერთო, სოლიდარული დაუცხრომელი ოპოზიცია საკალდებულოა ყველასთვის, ვისაც კი გულში უდგიეს ნამდვილი საყვარული თვისი ერისა. „დროებამ“ კი სწორედ ამ მომენტში გაახდა გამწვავებული შინაური ომი, დეე თვით მეითხველმა დასკვნას ეს საშსახურია ღვთისა, თუ ეშმაკისა.

იაკობ გოგებაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი სვ. **ყიფიანი.**

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

დროება

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. მომავალ 1910 წელს გაზეთი „დროება“ გამოვა იმავე პროგრამით, როგორც 1909 წ. გამოდიოდა.

ყოველ დღიურ გამოცემას გარდა 1910 წლისაც გაზეთს ექნება **სურათებიანი დამატება** დამატება გამოვა კვირაობით. გაზეთის ფასი: წლით, როგორც ქალაქში ისე ქალაქ-გარედ 8 მან. და 50 კ. ნახევარი წლით 4 მ. და 80 კ., ერთი თვით 80 კაპ. (1 მანეთის მაგიერ). საზღვარ გარედ 12 მამეთი.

ცალკე ნომერი ყველგან **ერთ შაურად.** ≡ დამატებიანი ნომერი (კვირისა) შვიდ კაპეიკად

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერლებს დაურიგდებათ **კედლის კალენდარი**, კვირეულის ფურცლებით

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგ. წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან. ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან, ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში—სოფრომ ტარუაშვილთან.

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით: Тифлисъ, газ. „Дроэба“.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა. **სპირიდონ მ. ლოსაბერიძისა**, მოსკოვის ქუჩა № 5.